ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

5 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
სტიქიური მოვლენები
10 ლარი




პარასკევი, 8 ნოემბერი, 2013 №265 (6266) ფასი: 30 თეთრი

# ვინ გახდება მთავარი პროკურორი — ლაშა ნაცვლიშვილი, მაია მწარიაშვილი თუ ზაქარია ქუცნაშვილი









## არჩილ კბილაშვილი სამოქალაქო სექტორში გადადის

გვ. 3

## ჯეპრას გამოკითხვაში საინფორმაციო რადიოებს შორის „პალიტრა“ ლიდერობს

გვ.2



## ნანა კაკაბაძე: „პრეზიდენტისთვის შეწყალების უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია“

გვ.4



## ალეკო შალამბერიძე: „ოცნებამ ასე თუ გააგრძელა, სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდება“

გვ.3

## ბიუჯეტის სექვესტრი გარდაუვალია

გვ.6




## ლაგოდეხში დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ზურაბ ქ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ თამარიანში, ზურაბ ქ-ს საცხოვრებელი სახლიდან „მაკაროვი“-ს სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი, 1 მჭიდი და 3 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ასევე ამოღებულია 164 გრამი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ქვეპუნქტით).

ნიუსპრესი

## შინაგან საქმეთა მინისტრი თელავში ერეკლეობას დაესწრო



გვ.2

გამოიყენე შესაძლებლობების მაქსიმუმი — ჯეოსელის საუკეთესო შეთავაზება მომხმარებელს

ჯეოსელი

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 ავსტრიიდან საქართველოში დავით ჩაგინავას ექსტრადიცია განხორციელდა

6 რა სიურპრიზებს შესთავაზებს შრომის კოდექსი ქალბატონებს?

2 რუსეთს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების უფლება არ ჰქონდა

6 კვერცხის ფასი იზრდება

# რუსეთს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების უფლება არ ჰქონდა

გულიკო ბალაძე

**სააკაშვილი მიდის, მაგრამ იმაზე მეტად დანაწევრებულ ქვეყანასა და ტერიტორიულ პრობლემებს გვიტოვებს, ვიდრე შევარდნაძემ დაგვიტოვა. 2008 წელს რუსეთთან პროვოკაციულ, ფართომასშტაბიან ომში ჩართვით სააკაშვილმა რუსეთს მისცა საბაბი, ჩვენი ტერიტორიის ნაწილები, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ეღიარებინა. ახლა პუტინი აცხადებს, რომ ამ აღიარების უკან წაღება არ სურს, თანაც, რუსეთისა და პუტინისთვის საქართველოს ნებისმიერი მოძრაობა ევროპისა და ევროატლანტიკური ალიანსისაკენ მიუღებელია, თუმცა პუტინმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველო და ქართველები კიდევ უფრო დაშორებოდნენ რუსეთს. ამ მხრივ, რაც ვერ გააკეთა რუსეთმა 1992-93 წლებში, ის გააკეთა 2008 წელს.**

2008 წლის აგვისტოს ომიდან ხუთი წელი გავიდა. რუსეთი კვლავ მოცოცავს ჩვენი ტერიტორიის შიგნით.

რა არგუმენტები შეიძლება დავუპირისპიროთ რუსეთის პოზიციებს მოლაპარაკებებსა და შეხვედრებზე ან საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებში? ახლა ვილნიუსის სამიტი ახლოვდება, სადაც უნდა მოხდეს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება. არსებულ ვითარებაში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების საწინააღმდეგოდ ანუ არაღიარების პოლიტიკის გატარება.

უზენაესი საბჭოს დეპუტატი გურამ მაქაცარია საჭიროდ მიიჩნევს, ის დოკუმენტები იქნეს გამოყენებული, რომლებიც გააჩნია საქართველოს ამ პროცესში. ამიტომ ჩათვალა საჭიროდ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიეწოდებინა იმ არგუმენტების ნუსხა, რომლებიც, საქართველოს სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრობლემებიდან გამომდინარე, აუცილებელ პოზიციას წარმოადგენს.

– 2008 წლის აგვისტოს ომის წლისთავისთვის, 2009 წელს, ინგლისის ლორდთა პალატამ დადო დასკვნა ამ ომთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, 2008 წლის აგვისტოს ომი პუტინისა და სააკაშვილის ერთიანი გეგმით მიმდინარეობდა და ამ ომით რუსეთს ეძლეოდა საბაბი აფხაზებისა და ოსების დამცველების როლით აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მოვალენი ვართ, დავდოთ ის დოკუმენტები, რომლებიც დაიცავს საქართველოს ინტერესებს გაეროს, ნატოს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, – აცხადებს გურამ მაქაცარია, – ეს დოკუმენტები 2012 წლის 18-19 მაისს გაეგზავნა ნატოს ჩიკაგოს სამიტს, მაგრამ უპასუხოდ დარჩა. ეტყობა, ქართულმა დელეგაციამ არ ჩათვალა საჭიროდ არსებული დოკუმენტებისა და არგუმენტების გამოყენება. მოგვყავს ამონარიდი ამ დოკუმენტიდან: „2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარეობისას საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლებას (სააკაშვილის მეთაურობით) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიმართულებით არ განუხორციელებია არც სიტყვიერი და არც სამხედრო მუქარის შემცველი ქმედებები. უფრო მეტიც, ომის მიმდინარეობისას აფხაზეთის სიახლოვეს მდგარი ქართული ჯარის ნაწილები სენაკიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან გამოყვანილ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში, რათა რუსეთის ჯარებს გაადვილებოდათ ოკუპაცია“.

გურამ მაქაცარია:

– აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2008 წლის ომის დროს თავის ტერიტორიაზე გამოატარა საქართველოსთვის აგრესორი ქვეყნის, რუსეთის, ჯარები, რომლებმაც მოახდინეს დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია, გაძარცვეს სამხედრო ნაწილები, ქალაქ ფოთში ჩაძირეს საქართველოს ჯარის კუთვნილი სამხედრო გემები, გაძარცვეს და დაატერორეს საქართველოს მოსახლეობა.

2008 წლის ომის დროს რუსებთან ერთად საქართველოს ოკუპაციაში მონაწილეობდა „აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები“, საქართველოს კონსტიტუციის ძალით სრულიად უკანონოდ შექმნილი.

ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის უშუალო ბრძანებით, აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მონაწილეობდნენ კოდორის ხეობის ოკუპაციასა და იქიდან ძირძველი მოსახლეობის გამოდევნაში.

გამომდინარე ისტორიული და დე ფაქტო რეალობიდან, აფხაზეთში ქართველი მოსახლეობა შეადგენს 50%-ზე მეტს, აფხაზები – 11%-ს. საბჭოთა კავშირის შექმნისას, 1937 წლის და მომდევნო წლების კონსტიტუციის ძალით მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე, ავტონომიურ რესპუბლიკას არ ჰქონდა მოკავშირე რესპუბლიკიდან გასვლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლება.

– საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ქმედებანი უნდა ჩაითვალოს აგრესიად საქართველოს წინააღმდეგ და არა პირიქით, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე რუსეთის ხელისუფლება. ვინაიდან 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, ერთადერთი მოთხოვნით, თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, დადებითად ხმა მისცა სრულიად საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9%-მა, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის, სოხუმის მოსახლეობის 96,6%-მა, მოსახლეობის მხრივ ყველაზე დიდი რაიონის, გალის მოსახლეობის 97,85%-მა და, მიუხედავად კომუნისტური საბჭოთა აფხაზეთის მაშინდელი მთავრობის წინააღმდეგობისა, სრულიად აფხაზეთის მოსახლეობის 58,84%-მა.

გამომდინარე ყოველივე ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან, რუსეთის (პუტინის) დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს არავითარი იურიდიული, მორალური და სამართლებრივი საფუძველი მის მიერვე 1992 წელს აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უარყოფისა და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებისა, – აღნიშნავს გურამ მაქაცარია.

გურამ მაქაცარია აღნიშნავს ასევე, რომ 1994 წლის 31 დეკემბერს ამერიკის კონგრესმა ოფიციალურად ცნო რუსეთის ბოლშევიკური აგრესიის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია.

– 1921 წლის კომუნისტურ აგრესიამდე საქართველოში არ არსებობდა არანაირი ავტონომია და არც ცნება „ოსეთი“, ქალაქ ცხინვალში არ არსებობდა ოსური დასახლება. ცნება „სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი“ გაჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ჯილდოდ ოსი ბოლშევიკი სეპარატისტებისთვის, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის (ქართული ცხინვალი გახდა ოსური სტალინირი).

– ვინაიდან თვით საბჭოთა კონსტიტუციითაც ავტონომიური ოლქი არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, არ ჰყავს პარლამენტი და მთავრობა, რაც ნათლად ჩანს სსრკ-ის 1937 წლის კონსტიტუციიდან. 94-ე მუხლში წერია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მხარეებში, ოლქებში, ავტონომიურ ოლქებში, ოკრუგებში, რაიონებში, ქალაქებში, სოფლებში აულებში, ყიშლაყებში არიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. აქედან გამომდინარე, სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის „უმაღლეს ორგანოს“, სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს არ ჰქონდათ სოფლის საბჭოებზე აღმატებითი სამართლებრივი უფლებები.

სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი 1990 წელს გააუქმა სამხრეთი ოსეთის „უმაღლესმა სახელისუფლებო ორგანომ“, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, რის მორალური უფლება მას ნამდვილად ჰქონდა და სეპარატისტულმა ხელისუფლებამ იქ მცხოვრები უმრავლესობის, ქართველი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ, სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა, რისი კონსტიტუციური უფლებაც მას არ ჰქონდა.

გურამ მაქაცარია ყურადღებას ამახვილებს რუსეთის პრეზიდენტ ელცინის მიერ ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების სამართლიანობისა და კანონიერების აღიარებაზე და ასკვნის:

– ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა 1991 წლის 18 მარტს დაბა ყაზბეგში ხელი მოაწერა დოკუმენტს საქართველოში ე.წ. სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებაზე და ეს საკითხი მიიჩნია მხოლოდ საქართველოს მთავრობის კომპეტენციად, გამომდინარე ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან, რუსეთის (პუტინის) ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი კონსტიტუციური, ისტორიული იურიდიული საფუძველი, რაიმე სახელმწიფო წარმონაქმნად ჩათვალოს ე.წ. სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკა და ცნოს მისი დამოუკიდებლობა, მით უმეტეს, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში დადებითად, მიუხედავად სეპარატისტული ძალების წინააღმდეგობისა, ე.წ. სამხრეთი ოსეთის მოსახლეობის 50%-ზე მეტმა მისცა ხმა.

## შინაგან საქმეთა მინისტრი თელავში ერეკლეობას დაესწრო



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თელავს სახალხო დღესასწაულ „ერეკლეობა“-ზე ეწვია. მინისტრი ერეკლე მეორის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს ქართველი მეფის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაესწრო.

ღარიბაშვილი თელავის ცენტრში, ერეკლე მეორის მოედანზე გამართულ საზეიმო ღონისძიებებსაც დაესწრო. სახალხო დღესასწაული „ერეკლეობა“ მეფე ერეკლე მეორის იუბილის აღსანიშნავად თელავში ტრადიციულად, ყოველი წლის 7 ნოემბერს იმართება.

ნიუსპრესი

## ჯეპრას გამოკითხვაში საინფორმაციო რადიოებს შორის „პალიტრა“ ლიდერობს

ჯეპრას გამოკითხვაში საინფორმაციო რადიოებს შორის „პალიტრა“ ლიდერობს 24 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით, ქართული რადიოების საინფორმაციო გადაცემების სმენადობის რეიტინგის დასადგენად პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრამ“ საინფორმაციო საიტების მომხმარებლის გამოკითხვა ჩაატარა.

სპეციალური კითხვარი 8 საინფორმაციო პორტალზე იყო განთავსებული და გამოკითხვაში მონაწილეობა 8836 ადამიანმა მიიღო. რადიოების საინფორმაციო გადაცემების პოპულარობის მიხედვით ლიდერი წინა გამოკითხვასთან შედარებით შეიცვალა და პირველ ადგილზე რადიო პალიტრა გავიდა (21,3%), რადიო მაესტრო მეორეზე (14,7%), ფორტუნამ (8.9%) შეინარჩუნა მესამე ადგილი, რადიო იმედი (8,8%) – მეოთხეზეა, აფხაზეთის ხმა (7%) – კვლავ მეხუთე ადგილზეა.

წინა გამოკითვასთან შედარებით, კითხვარში დამატებული იქნა 18 წლამდე ასაკობრივი კატეგორია, რამაც როგორც რესპოდენტთა დემოგრაფიულ, ასევე შემოსავლების სურათზე, გარკვეული გავლენა იქონია. გამოკითხვაში მონაწილეთა რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში ასე გადანაწილდა: 18 წლამდე ასაკი -5,4 %, 18-24 წელი – 18,7%, 25-32 წელი – 26,5%, 33-45 წელი – 23%, 46-55 წელი – 16,1%, 56-64 წელი – 6,7%, 65+ წელი – 3,6%.

რესპოდენტების 69,6% დასაქმებულია, 11,7% – სტუდენტი, 5,3% – დიასახლისი, 3,2% – პენსიონერია, ხოლო 10,3 % – უმუშევარი. გამოკითხულთა უმრავლესობის (42,6%) ყოველთვიური შემოსავალი 500 ლარამდეა, 25,5%-ის შემოსავალი 1000 ლარამდეა, 1000-დან 2000-მდე ლარის შემოსავალი აქვს 16,3%-ს და 2000 ლარზე ზევით შემოსავლების მქონე პირები კი გამოკითხულთა 15,6 პროცენტს შეადგენდა.

წინა გამოკითხვასთან შედარებით, გაიუმჯობესა რეიტინგი რადიო „კომერსანტმა“, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს-ნიშური რადიოა, მჭიდროდ მიუახლოვდა საერთო მაუწყებლობის ფორმატის მქონე რადიოების ხუთეულის ჯგუფს, გაიზარდა საზოგადოებრივი რადიოსა და მწვანე ტალღის რეიტინგიც. შემცირდა იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელმაც კითხვარის ჩამონათვალში დასახელებული რადიოების ნაცვლად მიუთითეს „სხვა რადიო“ (გამოკითხულთა მხოლოდ 19,9%). საინტერესოა, რომ ჯეპრას ონლაინ-გამოკითხვაში მონაწილეთა 61,7 პროცენტს მამაკაცები შეადგენს.

„მეორე საპილოტო ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგებით კმაყოფილი ვართ. საინფორმაციო საიტების მომხმარებლებმა აქტიურობა გამოიჩინეს.

მეთოდოლოგიისა და კითხვარის დახვეწამ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალება მოგვცა, რის საფუძველზეც უკვე თებერვლის თვეში სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. ვმუშაობთ გამოკითხვის ტექნიკურ სრულყოფაზე, გვსურს, რომ გამოკითხვის შედეგები უფრო გამჭვირვალე და მყისიერად ცნობილი გახდეს როგორც თითოეული რესპოდენტისთვის, ასევე ვებ-საიტების ყველა მომხმარებლისთვის“, – განაცხადა „ჯეპრას“ უფროსმა კონსულტანტმა სოსო გალუმაშვილმა.

„გამოკითხვის ჩატარების პირველსავე ეტაპზე ვთქვით, რომ მას მაღალი ხარისხის რეპრეზენტატიულობაზე პრეტენზია არ ექნებოდა და კლასიკურ სოციოლოგიურ კვლევას ვერ ჩაანაცვლებდა. თუმცა, გამოკითხვის შედეგებში არსებული ცდომილების შემცირება კვლევის მასშტაბებისა და განმეორებითი კვლევების რაოდენობის გაზრდით იქნება შესაძლებელი.

მსოფლიოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ონლაინ-გამოკითხვები, რომელთაც მომხმარებელთა ქცევის შესასწავლად და მათ მოლოდინებზე უკუკავშირის მისაღებად იყენებენ. საქართველოში ინტერნეტის პენეტრაციისა და შესაბამისად, ინტერნეტ-მომხმარებლების რიცხოვნობის ზრდა, საუკეთესო ბაზას გვაძლევს შედარებით იაფი და მრავალრიცხოვანი გამოკითხვის ჩატარებისთვის. ჩვენი დიდი სურვილია, საპილოტე კვლევის შემდეგ რადიოსადგურებთან და ვებ-პორტალებთან ერთად მოხდეს კვლევის მეთოდოლოგიის შეჯერება, ყველა არსებული ხარვეზის აღმოფხვრა და სინდიკატური კვლევის ჩატარება“, – აცხადებენ ჯეპრაში.

პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია ჯეპრას ზემოთხსენებული ონლაინ-გამოკითხვა რიგით მეორეა. პირველი ანალოგიური გამოკითხვა ჩატარდა 2013 წლის 3-7 მარტს.

ჯეპრა

2002 წლიდან პიარის სფეროში საქმიანობს და ემსახურება ქართულ და საერთაშორისო კომპანიებს, სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. 2013 წლის ოქტომბერში „მარკეტინგ ბრილიანსის“ კონკურსზე ჯეპრა საქართველოში წარმოებული საუკეთესო პიარ კამპანიისთვის დააჯილდოვეს.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ გახდება მთავარი პროკურორი — ლაშა ნაცვლიშვილი, მაია მწარიაშვილი თუ ზაქარია ქუცნაშვილი

## არჩილ კბილაშვილი სამოქალაქო სექტორში გადადის

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები უკვე დაიწყო. გუშინ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა გვახარა, თანამდებობიდან მივდივარო. კბილაშვილის გადადგომა ერისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. აქ უკვე დიდი ხანია ჭორაობენ, რომ კბილაშვილს სხვა თანამდებობას უმზადებდნენ. ერთ-ერთი ვერსიით პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ის აუდიტის სამსახურის უფროსის პოსტს დაიკავებდა.

არჩილ კბილაშვილის მომავლის განჭვრეტის გარდა ერს იმაზეც უწევს მკითხაობა თუ ვინ დაიკავებს მის ადგილს. ამის გარდა ისიც გასარკვევი გვაქვს, რატომ დატოვა კბილაშვილმა თანამდებობა. ერთ-ერთი ვერსიით, მას გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა მომავალ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან უთანხმოებამ შთააგონა. თავად კბილაშვილი შს მინისტრთან რაიმე დაპირისპირებას უარყოფს.

ის გაგებით ეკიდება იმ უკმაყოფილებას, რაც მის მიმართ საზოგადო-



ებაში არსებობს. კბილაშვილი ამბობს, რომ მას ორხელისუფლებიანობისა და კოაბიტაციის პირობებში მოუხდა საქმიანობა, რის გამოც სამართლიანობა ვერ აღადგინა.

— ბუნებრივია ისიც, რომ ვარ კოაბიტაციით განაწყენებულ მოქალაქეთა წყრომის ადრესატიც, თუმცა ვთვლი, რომ პრემიერ ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში ზომიერებითა და დაბალანსებულობით გამოირჩეოდა, ერთადერთი სწორი პოლიტიკა იყო. ეს არ ნიშნავს, რომ ვერ ვამჩნევდი იმ ნაკლოვანებებს, რაც თან ახლდა პროკურატურის ფუნქციონირებას: მტკიცედ მჯერა, რომ ახალი პრეზიდენტისა და ახალი პრემიერის უფლებამოსილების დადასტურებისთანავე ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით უნდა დაიწყოს სისტემური რეფორმა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, უნდა მოხდეს ფუნქციათა გამიჯვნა, შიდა კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბება, გამოძიებაზე პროკურატურის საზედამხედველო როლის გაძლიერება. პროკურატურის რეპრესიული მანქანა უნდა შეიცვალოს ინსტიტუციონალურად ახალი ევროპული მოდელის პროკურატურით. განსახორციელებელი რეფორმის უვერტიურად მესახება ახალი პოლიტიკის შემუშავება თეთრი საყელოს დანაშაულების გამოძიებისას, რომლის განხორციელებისათვის მუშა ჯგუფი უკვე შეუდგა თავის საქმიანობას. დადგა დრო მკაფიო პასუხი გაეცეს ქონებაჩამორთმეულთა და უკანონო განაჩენებით მსჯავრდებული ადამიანების პრეტენზიებს, — ამბობს კბილაშვილი.

ახლო მომავალში ბიძინა ივანიშვილის მსგავსად ისიც სამოქალაქო სექტორში აპირებს გადასვლას. კბილაშვილი აცხადებს, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფო სამსახურში არ აპირებს დასაქმებას.

ის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე შეინარჩუნებს თანამდებობას, ხოლო ამის შემდეგ, მომავალი პრემიერ-მინისტრი გადაწყვეტს, თუ ვინ გახდება მთავარი პროკურორი.

სანამ ღარიბაშვილი მომავალ პროკურორს შეარჩევს ერი კბილაშვილის შემცვლელს საკუთარი ძალებით ეძებს. სახელისუფლებო კულუარებში უკვე დიდი

ხანია საუბრობენ, რომ მთავარი პროკურორის პოსტს ლაშა ნაცვლიშვილი დაიკავებს. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ის არის მთავარი დღეს პროკურატურაში.

მის გარდა ამ პოსტზე მაია მწარიაშვილი და ზაქარია ქუცნაშვილიც მოიაზრებიან. გუშინ გავრცელდა ცნობა, რომ შესაძლოა ეს პოსტი თინა ხიდაშელს ჩააბრონ. თუმცა ეს ვერსია უშიშროების საბჭოს მომავალმა მდივანმა ირინა იმერლიშვილმა უარყო.

კბილაშვილის წასვლისთვის თითქმის ყველა მზად იყო. ამის მიუხედავად მის გადადგომას დიდი ალიაქოთი მოჰყვა. საინტერესო ის გახლდათ, რომ მეოცნებეებიცა და ნაციონალებიც ჯერაც მთავარი პროკურორის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებდნენ.

ქვეყნის მთავარი დიპლომოლოგის გოგა ხაჩიძის შეფასებით, არჩილ კბილაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით მოლოდინები არსებობდ და ამ გადაწყვეტილებას პროკურატურაში შექმნილ რეალობას უკავშირებს.

— შეგახსენებთ, მთავარი პროკურორის განცხადებებს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ის პერმანენტურად ახერხებდა საზოგადოება ეკვება გარკვეული „ინტრიგის შემცველი" განცხადებებით, „ფაქტების მოყვანით" და საბოლოო ჯამში ვიღებდით არაფერს. ალბათ პროკურატურა იყო ისეთი, როგორიც პიროვნულად არის ბატონი არჩილ კბილაშვილი. რაღაცნაირი, არც აქეთ — არც იქით, რაღაც გაურკვეველი რიტორიკით. გაურკვეველი რიტორიკის პროკურატურა გვყავდა ერთი წელი, — განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

მისი კოლეგის გოკა გაბაშვილის თქმით, კბილაშვილმა ერს თავი გაუგებარი გადაწყვეტილებებით და ნაციონალური მოძროაბის დევნით დაამახსოვრა.

— პოლიტკურ კულურებში დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ბატონი ნაცვლიშვილი უფრო გავლენიანი ფიგურა არის პროკურატურაში ვიდრე კბილაშვილი. ის ძირითადად გამოიყენებიდა უფრო პოლიტიკური განაცხადების გასაკეთებლად და წლის განმავლობაში ბევრი ასეთი გამონათქვამით დაგვამახსოვრა თავი. გამოყენებულ იქნა, როგორც ჩვეულებრივი პოლიტიკური ინსტრუმენტი პოლიტიკურ ოპონენტზე ზეწოლისთვის და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. მისი სტილი ყველას კარგად გვახსოვს. ფაქტიურად პროკურორის მანტია მოსხმული ჭორიკანა შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც ძალინ ხშირად ეთერში გამოდიოდა და ათასგვარ ბრალდებებს ახმოვანებდა პლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. ამას არ თაკილობდა არც წინა საარჩევნოდ ანუ იმუშავა, როგორც პოლიტიკოსმა, რომლესაც ჰქონდა პროკურორის მანდატი და პროკურორის უფლებამოსილებები. მათშორის აბსოლუტურად ყველასთვის გაუგებარი გადაწყვეტილებებით დაგვამახსოვრა თავი. ისეთი, როგორიც იყო ციხის წამების უშუალო მონაწილის ბედუკაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება და ა.შ. მისი ხელმძღვანელობით პროკურატურამ ნაციონალური მოძრაობის ძალიან ბევრი აქტივისტი ატარა დაკითხვებზე. როგორც ჩანს მისი ვადა ამოიწურა შეძლება კიდევ უფრო დაუფიქრებელი ადამიანების დრო მოდის. საუბრობენ ბატონ ნაცვლიშვილზე , რომელსაც ყველა ვიცნობთ როგორც ასეთს, — განაცხადა გაბაშვილმა.

ნუგზარ წიკლაურმა ,,მედიანიუსთან" საუბრისას კბილაშვილის თანამდებობიდან წასვლა დაუკავშირა იმ „პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს", რომლებიც ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს და კიდევ სხვა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებს წარედგინათ და „მთლიანად გაკოტრდა ამ ერთი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ალეკო შალამბერიძე: „ოცნებამ ასე თუ გააგრძელა, სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდება"

შორენა მარსაგიშვილი

**„თავისუფალი საქართველოს" გენერალური მდივანი მეოცნებეებს სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურების გამო საყვედურობს. მისი აზრით, თუ უახლოეს მომავალში სამართლიანობა არ აღდგა, ხალხი შეეცდება ამის გაკეთებას. ხალხის მღელვარებით სააკაშვილი ისარგებლებს და ხელისუფლებაში დაბრუნდება.**

რა ვითარებაში დაიბრუნებს სააკაშვილი ძალაუფლებას, რა შემთხვევაში აღარ დაგვაძალებს დასავლეთი კოაბიტაციას, ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

***— მარგველაშვილისა და ივანიშვილის ტანდემი გვპირდებოდა, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა. აგერ უკვე 8 ნოემბერია და კოაბიტაციის დამთავრებას რამე პირი უჩანს?***

— ვინმეს სჯეროდა საქართველოში, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდებოდა? მეოცნებეები ისეთ განცხადებებს აკეთებენ, მეეჭვება, ამის დასრულებას საერთოდ აპირებდნენ. ამით ისინი იმაზე დიდ ბოროტებას ჩაიდენენ, ვიდრე ნაციონალებმა ჩაიდინეს. პლატონი ამბობდა, რომ ყოველგვარი ბოროტების სათავე არის დაუსჯელი დანაშაული. ჩვენმა ხალხმა იმიტომ მოიყვანა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება", რომ მათ დამნაშავე სააკაშვილთან ერთად ცხოვრება აღარ სურდათ.

***— ახლა ლევან ბერძენიშვილი ამბობს, დემოკრატიის მეორე კლასში ვართ, სააკაშვილის არდაჭერით მეოთხეში გადავალთ, მისი დაჭერით კი კლასში ჩავრჩებითო.***

— ეს არის ძალიან ცუდი. ასეთი განცხადებები მეოცნებეებსა და ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. შეუსრულებელი დაპირებების გამო ადამიანებს უცრუვდებათ იმედი და ეს მომავალში ძალიან ცუდად აისახება. კოაბიტაციის მოტივით ხდება დამნაშავეების პარპაში. ასე კოაბიტაციობაში კიდევ გამოჩნდება ახალი სააკაშვილი და უგულავა. გამოჩნდებიან სხვებიც და ამ ქვეყანაში დანაშაული არ მოისპობა. პოლიტიკის თეორიის წიგნში წერია ერთი საკითხი, რომელსაც დემოკრატიული სამყარო სრულად იზიარებს. თუ ხელისუფლების შეცვლა არჩევნებით ანუ დემოკრატიულად და მშვიდობიან მოხდა, მაშინ არჩევნებში დამარცხებული არ უნდა დაიჭირო. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობაში პირველად მოხდა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ამიტომაც ითხოვს დასავლეთი ჩვენგან ამ პირობის შესრულებას.

***— არჩევნებში დამარცხებული ძალა თუ დამნაშავეთა კრებულია, მაშინ რა ვქნათ, არ გვეუბნება ეს სახელმძღვანელო?***

— იქ ამაზე არაფერი წერია. იქ წერია, რომ არჩევნებში დამარცხებულ ძალას ანგარიში არ უნდა გაუსწორო.

***— თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

— ნორმალურ ქვეყანაში ასე უნდა იყოს. ნორმალური პოლიტიკური პარტია არ უნდა დაშალო და დასაჯო. მაგრამ ნაციონალური მოძრაობა იყო ნორმალური ძალა? კოაბიტაციის მომხრეებს ვეკითხები: არ უნდა დაისაჯონ სანდრო გირგვლიანის მკვლელები, რომლებმაც ბიჭი წამებით მოკლეს? არ უნდა დაისაჯონ გამცემლიძის, რობაქიძის და ვაზაგაშვილის მკვლელები? არ უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც ათასი საშინელება ჩაიდინეს? უცხოელებს სწორედ ასეთი ტონით უნდა დაველაპარაკოთ. თუ შენ კანკალებ, ვაიმე, ამერიკამ არაფერი მითხრას დამნაშავეების დასჯის გამოო, არაფერი გამოვა. ხელისუფლება კი იმით დაგვაბოლებს, დემოკრატიის მეორე კლასში ვართ და მეოთხეში გადახტომის შანსი მოგვეცაო.

***— ამ ამერიკას მეტი საქმე არა აქვს, ჩვენ რომ არ გვაკონტროლოს?***

— საქმე როგორ არა აქვთ, მაგ-



რამ სააკაშვილმა მიაჩვია ეგენი ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევას. დარწმუნებული ვარ, ამერიკელებს შინაგანად უნდათ, რომ აქ დემოკრატიული მმართველობა იყოს და არა ტირანია.

***— აბა, რატომ გვიშლიან ხელს სამართლიანობის აღდგენაში?***

— შორიდან ეს ნიუანსები კარგად არ ჩანს. „ქართული ოცნება" ამ მიმართულებით საგარეო ფრონტზე კარგად არ მუშაობს. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ. მამაბუში საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგი იყო. მას ერჩივნა, ჰყოლოდა დემოკრატიული საბჭოთა კავშირი ერთი მმართველით. ლიტველებს ეუბნებოდნენ, რომ არ დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი. მათ უთხრეს, თქვენ არ იცით ჩვენი პრობლემები, რადგანაც საბჭოთა კავშირში არ გიცხოვრიათო. მე გავიმეორებ ამ სიტყვებს, ამერიკელებს საქართველოში ამ წლებში არ უცხოვრიათ და არ იციან, რა დანაშაული ჩაიდინა სააკაშვილმა. კი ბატონო, ეს არ არის ჰიტლერისა და დუჩეს დონის დანაშაულები, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მასშტაბებია სხვადასხვა. თუ მასშტაბებში გადავიყვანთ, იმავე დონის დანაშაულია ჩადენილი. ჩვენ დასავლეთს კარგად უნდა ავუხსნათ, რა მოხდა საქართველოში და რატომ ვასამართლებთ ნაციონალებს. ჩამოვიყვანოთ სპეციალისტები უცხოეთიდან და მათ შეისწავლონ სააკაშვილის ჩადენილი საშინელებები. ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა იმით, რომ სააკაშვილის დაჭერის გამო ჩავრჩებით კლასში. არაფერსაც არ ჩავრჩებით. თავის დროზე შევარდნაძე რომ დაგვეჭირა, დღეს ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით. თუ დამნაშავე არ დაისაჯა, ამ შემთხვევაში ჩავრჩებით კლასში. არც ევროპიდან და ამერიკიდან წამოვა პრეტენზიები.

***— სარკოზისა და ბერლუსკონის წინააღმდეგ რომ აღიძრა საქმე, ეს რატომ არ შეიცხადა დასავლეთმა?***

— არ ვიცი, მაგის შესახებ შემცხადებლებს უნდა ჩაეკითხოთ. ახლა, როგორც ვიცი, უნგრეთის პრემიერსაც მოუწევს პასუხების გაცემა. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ პინოჩეტის მაგალითიც. ჩილეში პინოჩეტის დასჯის მოთხოვნით გამოვიდნენ მეცნიერები. იმ დროს პინოჩეტი უკვე ძალიან მოხუცი იყო. ამ მეცნიერებს დიდი სახელმწიფოებრივი აზროვნება ჰქონდათ, მათ იმდენი იბრძოლეს, რომ პინოჩეტი გაასამართლეს. მას ჩადენილ დანაშაულებზე მიესაჯა სასჯელი. დაანახვეს მთელ მსოფლიოს, რომ მათთან დაუსჯელი დანაშაული არ დარჩება. თუ ჩვენ სააკაშვილს არ დავსჯით, მაშინ ნახეთ კლასებში ჩარჩენა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წყალობით მორჩა მისი პარპაში. ახლა მას ჩადენილი ცოდვებისთვის უნდა მოეთხოვოს პასუხი, რასაც ხელისუფლება არ აკეთებს.

***— ხალხი ამ პირობის შეუსრულებლობის გამო რატომ არ სთხოვს ხელისუფლებას პასუხს?***

— ხალხი ამ მიმართულებით ჯერ არ აქტიურობს. მიაჩნიათ, რომ მოიყვანა ხელისუფლებაში ის ძალა, რომელიც მათ დაკვეთას შეასრულებს. ალბათ, ცოტა ხანს კიდევ მოითმენს ხალხი. მათ ჯერ ისევ სჯერათ ივანიშვილის. სწორედ მისი ხათრით აირჩიეს პრეზიდენტად მარგველაშვილი. ერთი რამე აუცილებლად უნდა ახსოვდეს ხელისუფლებას — მოსახლეობა პოლიტიკურად გაიზარდა და ხალხი ოცნებას თავისი პრობლემების მოგვარებას ამჯობინებს.

***— ჯერჯერობით ისევ ოცნებობენ.***

— ცოტა ხანში აღარ იოცნებებენ. ხელისუფლება იძულებული გახდება, დანაპირები შეასრულოს. გუშინ კბილაშვილმა დატოვა მთავარი პროკურორის პოსტი. მიმაჩნია, რომ გაცილებით ადრე უნდა წასულიყო.

***— რატომ უნდა გადამდგარიყო?***

— თქვენ ის მითხარით, რატომ იჯდა აქამდე მთავარი პროკურორის პოსტზე? სადმე ნახეთ მის მიერ აღდგენილი სამართლიანობა? გამოვიდოდა, რაღაცას დააბრეხვებდა და დაიკარგებოდა. პროკურატურაში ათასობით საქმეა შესული და ერთი საქმე არ არის გამოძიებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამაზ თამაზაშვილის საქმეც კი არ არის ბოლომდე გამოძიებული. პოლიციის გენერალი კაცი უკანონოდ იყო დაჭერილი და ვითომ არაფერი.

***— სხვებთან შედარებით, მისი საქმე უკეთესად არის. სხვა თუ არაფერი, მისი სიძე შს მინისტრია და მალე პრემიერი გახდება.***

— მით უმეტეს აღმაშფოთებელია. ასეთი კაცის საქმეს არ იძიებენ და სხვების საქმეებს გამოიძიებენ? ეს საქმე აუცილებლად უნდა გამოიძიონ ბოლომდე. ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით. კოაბიტაციის საფარქვეშ საქმეების ჩაფარცხვა უნდა დამთავრდეს ამ ქვეყანაში. თუ მართლა უნდათ სამართლიანობის აღდგენა, მაშინ პროკურატურაში ის ხალხი დააბრუნონ, რომლებიც სააკაშვილის დროს გამოყარეს. ეს ხალხი უმუშევარია ისევ. სამაგიეროდ, პროკურატურაში იგივე ტიპები სხედან, რომლებიც ამდენი წელი დანაშაულს ჩადიოდნენ. აი, ასეთ კრიმინალებთან უწევთ სამართლის საპოვნელად მისვლა. სამართალი აუცილებლად უნდა აღდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ მღელვარება დაიწყება, რითაც ისარგებლებს სააკაშვილი.

***— რანაირად ისარგებლებს?***

— ისევ დაბრუნდება ხელისუფლებაში. ის არის საერთაშორისო დონის აფერისტი, რომელიც 5 ენაზე საუბრობს. 2003 წელს სააკაშვილმა ერთხელ უკვე შეძლო ხალხის მოტყუება და არც მომავალში გაუჭირდება ამის გაკეთება. ოცნებამ თუ ასე გააგრძელა, სააკაშვილი ხელისუფლებაში ისეც დაბრუნდება და მერე აქ მართლა ჯოჯოხეთი დატრიალდება.

# ნანა კაკაბაძე: „პრეზიდენტისთვის შეწყალების უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

*— მოდით, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები და საკონსტიტუციო ცვლილებებით დავიწყოთ. ყველასთვის ცნობილია, რომ საგრძნობლად იკვეცება პრეზიდენტის უფლებამოსილება, ასევე საუბარია პრემიერის უფლებების შეზღუდვაზეც... რამდენად სწორია, პრეზიდენტი, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული, ასე უუფლებო იყოს?*

— მე ვფიქრობ, რომ ასეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საპრეზიდენტო მმართველობა არ უნდა ყოფილიყო პრობლემა. პირიქით, უნდა ყოფილიყო კარგი, როდესაც საუბარია დასავლეთთან ურთიერთობაზე, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე, გაცილებით უფრო მარტივია, როდესაც საპრეზიდენტო ინსტიტუტთან აქვს ურთიერთობა, ერთი პირია, ვისთანაც შესაძლებელია კომუნიკაცია. მეორე მხრივ, ის რომ საპარლამენტო რესპუბლიკისკენ იხრება ეს მოდელი, როდესაც იზღუდება, როგორც პრემიერის უფლემაბოსილება, ის ე პრეზიდენტის უფლებამოსილება, ამაშიც არის რაღაცნაირად თავისი ხიბლი. თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როდესაც სუსტი პარლამენტია, ხარვეზიანი პარლამენტი, ეს რამდენად წაადგება ქვეყანას, ეს კიდევ საკითხავია. იმიტომ, რომ კიდევ გავიმეორებ, ამ პარლამენტს ლეგიტიმაციაც აკლია და პლუს თვითონ შემადგენლობითაც საკმაოდ სუსტია ეს პარლამენტი. აქედან გამომდინარე, გამოგვდის რა, პრეზიდენტსაც არა აქვს საკმარისი და სერიოზული ძალაუფლება, პარლამენტიც სუსტია და ერთადერთი, ამ ეტაპისთვის რჩება პრემიერის ინსტიტუტი. თუმცა საუბარია, რომ მასაც უნდა შეეკვეცოს უფლებამოსილება. თუ გაიზრდება საზოგადოების კონტროლი, საზოგადოების ჩართულობა, ეს ძალიან კარგია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, როგორი იქნება ახალი პარლამენტი, რამდენად დემოკრატიულად მოხდება პარლამენტის არჩევა. ფაქტია, რომ ეს პარლამენტი ვერ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს. ვნახოთ, თუ ეს შეიცვლება და პარლამენტი იქნება ჯანსაღი, ლეგიტიმაციის მქონე და ასე შემდეგ, შეიძლება ამან გაამართლოს კიდეც, ვნახოთ. ამ ეტაპამდე, ყოველთვის დასავლეთის მოთხოვნა იყო, რომ საპრეზიდენტო მმართველობა მათთვის მისაღები იყო კომუნიკაციისთვის და ურთიერთობების დალაგებისთვის.

***— ამ შეზღუდვებთან ერთად, პრეზიდენტს შეწყალების უფლებაც ერთმევა და თქვენ ეს საკითხი გააპროტესტეთ...***

— ეს არის მიუღებელი რამე პირადად ჩემთვის, იმიტომ, რომ პრეზიდენტის შეწყალების ინსტიტუტი უნდა არსებობდეს. ეს არ არის ჩვენი გამოგონება. ეს ძალიან ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს, პრინციპში, არ ვიცი ისეთი ქვეყანა, სადაც ეს არ არსებობდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამის უფლება პრეზიდენტსაც აქვს და გუბერნატორებსაც. რისთვის არის შემოტანილი ეს ინსტიტუტი, იმისთვის, რომ ძალიან დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში რაღაცა შეცდომა გაიპარა, არა მიზანმიმართულად, არაშეგნებულად, ვიცით, რომ შეცდომისგან არავინ არ არის დაცული და გარანტირებული არაფერია, პრეზიდენტს ეძლევა იმის უფლება, რომ მან უპირობოდ მოახდინოს შეწყალება. ანუ ამა თუ იმ ადამიანის შელახული უფლების აღდგენა მოხდეს მყისიერად პრეზიდენტის ჩარევით. ანუ პრეზიდენტი არის ქვეყანაში ადამიანის უფლებების გარანტი, ის არის პირველი პირი. რატომ პრეზიდენტი, იმიტომ, რომ ის არის საყოველთაოდ არჩეული ქვეყანაში, მას აქვს საზოგადოების ყველაზე დიდი ნდობის მანდატი და სწორედ ამიტომ ეს აქვს პრეზიდენტის ინსტიტუტს და არა მინისტრს, ან მსგავსი თანამდებობის პირს. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან სწორია და კარგია. თითქმის 19 წელი ამან იმუშავა და ძალიან კარგად. თქვენ იცით, რომ არანაირი პრობლემა ამას არ შეუქმნია, ასეთი სახით მის არსებობას კონსტიტუციაში. მესმის, რატომაც ატყდა დღეს ასეთი აჟიოტაჟი ამ საკითხზე...

***— მიხეილ სააკაშვილმა ხომ ისარგებლა ბოროტად ამ უფლებით?***

— კი, მაგრამ ეს არის ანომალია. ყველამ კარგად იცის, რა მოვლენასთანაც გვაქვს საქმე. ჩვენ გვაქვს საქმე ისეთ პრეზიდენტთან, რომელიც საერთოდ ამოვარდნილია ყველანაირი კონტექსტიდან, ის არაპროგნოზირებადია, რამდენად შეურაცხადია, ეს კიდევ სხვა საკითხია. ის უფრო მეტად ბოროტი მოვლენაა ამ ქვეყნისთვის, ვიდრე არანორმალური. თუკი ასეთი ბოროტება განმეორდა ოდესმე, მას არანაირი საკანონმდებლო ცვლილება, რომელსაც დღეს ჩვენ განვახორციელებთ, არ უშველის. იმიტომ, რომ თუკი ასეთი ბოროტება მოვიდა ქვეყნის სათავეში, ის ალბათ თავის გუნდთან ერთად მოვა, მარტო ხომ ვერ შემოვარდება პოლიტიკაში, არა? ისინი კანონსაც შეცვლიან და ყველაფერს ისევ თავის თავზე მოირგებენ, როგორც ეს სააკაშვილის რეჟიმმა გააკეთა. კონსტიტუცია თავის თავზე მოირგო, ყველა კანონმდებლობა და საერთოდ ყველაფერი, მაშინ ამ ცვლილებასაც ისევ თავის თავზე მოირგებს და შეცვლის. ჩვენ, დღეს, ამ უფლებას ვუკვეცავთ ისეთ პრეზიდენტს, როგორი პრეზიდენტიც უნდა ჰყავდეს ნორმალურ ქვეყანას. ანუ



დაბალანსებული, გაწონასწორებული, ქვეყანაზე მოფიქრალი და სწორედ იმ უფლებებით აღჭურვილი, რომ თუ, ვთქვათ, რაიმე პრობლემა შეექმნა რომელიმე მსჯავრდებულის საქმის სამართლიან აღსრულებას, პრეზიდენტმა შეძლოს და ეს აღადგინოს. ჩვენ ასეთ პრეზიდენტს ვუკვეცავთ ამის უფლებამოსილებას და არა ისეთ კონტექსტიდან ამოვარდნილს, ისეთ არაპროგნოზირებადს და ქვეყნისადმი მტრულად განწყობილს, როგორიც სააკაშვილია. ღმერთმა დაგვიფაროს და სააკაშვილისნაირები კიდევ თუ მოვლენ ხელისუფლებაში, ისევ ანალოგიურად მოირგებენ კანონმდებლობას. ფაქტიურად ჩვენ ამას ვუზღუდავთ ნორმალურ, დაბალანსებულ და ქვეყნისთვის მზრუნავ პრეზიდენტს და მე ეს არ მიმაჩნია სწორად.

***— საინტერესოა, რამდენად მოხდება ამ ყველაფრის გათვალისწინება...***

— უნდა გაითვალისწინონ. ამის საწინააღმდეგო არგუმენტი არ არსებობს. როგორ შეიძლება სააკაშვილის გამო, ერთი პირის გამო იცვლებოდეს კანონმდებლობა. ეს არ არის სწორი, რომ მის გამო ვახდენთ ასეთ საკანონმდებლო ცვლილებას. უნდა გაითვალისწინონ იმიტომ, რომ ამით საზოგადოება, ადამიანი ზარალდება, პრეზიდენტი კი არა. ამით ზარალდება მოქალაქე, რომელსაც ასეთი პრობლემის შექმნის შემთხვევაში ერთმევა იმის საშუალება, რომ პრეზიდენტმა განახორციელოს მის მიმართ შეწყალება. ეს შეზღუდული ისედაც არის, როდესაც მსჯავრდებულია კონსტიტუციაში ჩადებული. მსჯავრდებულს ეხება ეს, ანუ აქ გათვალისწინებულია პატივისცემა სასამართლოსადმი და ეს არ არის წინასწარ ძიებაში, იმიტომ, რომ სახელმწიფო ითვალისწინებს იმ ფაქტორს, რომ თუ ქვეყანაში არსებობს სამართლიანი სასამართლო და პირი წარდგება სამართლიანი სასამართლოს წინაშე, მისი საქმე იქნება სამართლიანად განხილული. აქ საუბარია იმ შემთხვევაზე, თუნდაც ასეთმა სამართლიანმა სასამართლომ ვერ გამოიტანა სწორი ვერდიქტი და ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ამას აღადგენს. კონსტიტუციაში სიტყვა მსჯავრდებულის დაფიქსირებით, მოხდა ერთი მხრივ, სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინება, სასამართლოსადმი პატივისცემა და მეორე მხრივ, იმ შეცდომებისგან თავის დაცვა, რომლისგანაც არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი სასამართლო არ არის დაზღვეული და დაცული. ის კიდევ სხვა საკითხია, ასეთი მავნე და ბოროტი პრეზიდენტი ამას როგორ გამოიყენებს. ჩვენ ამაზე არ უნდა ავაგოთ, თორემ მაშინ მას ყველა უფლება უნდა ჩამოერთვას. იგივე მთავარსარდლის უფლება, მოქალაქეობის მინიჭების უფლება არ უნდა ჩამოერთვას? რა განცხადება გააკეთა, არ უსმენდით? მოდითო, ამ დარჩენილ ათ დღეში ყველას გამარტივებული წესით მოგცემთ მოქალაქეობასო. ეს გაცილებით მეტი საფრთხის შემცველი არ არის? სად გინახავთ, რომელ ქვეყანაში მსგავსი რამ.

***— ბოროტად სარგებლობს დარჩენილი რამდენიმე დღით...***

— სწორედაც. და თუ ჩვენ სააკაშვილზე გავთვლით ამ ყველაფერს, მაშინ ყველაფერი უნდა ჩამოვართვათ, არანაირი უფლება არ უნდა დავუტოვოთ პრეზიდენტს, არც მთავარსარდლის უფლება, არც მოქალაქეობის მინიჭების უფლება, არაფერი უფლება არ უნდა დაუტოვო მაშინ ასეთ ადამიანს. ჩვენ ამაზე არ უნდა გავთვალოთ. ჩვენ უნდა გავთვალოთ საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებზე და სახელმწიფო ინტერესებზე. მე მგონი, სწორედ ამაში ჯდება. იგივე მოქალაქეობაზე როცა ვლაპარაკობთ, აიღეთ თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ემიგრანტებისგან შექმნილი ქვეყანაა. იქაც კი რამხელა ფილტრები აქვთ მანამ, სანამ მოქალაქეობის სტატუსს მისცემენ პირს. ჯერ თუნდაც მწვანე ბარათის არსებობით, შემდგომ რამდენი წელი აკვირდებიან, ის როგორი ადამიანია და ამის შემდგომ ხდება მისთვის მოქალაქეობის მინიჭება. ქორწინებაში ყოფნის დროსაც, მაშინვე არ ეძლევა მეორე ნახევარს მოქალაქეობის უფლება და ეს ყველას უხმობს, ჩქარა მოდითო, რომ გამარტივებული წესით ათ დღეში მაქსიმალურად ბევრ ადამიანს მისცეს საქართველოს მოქალაქეობა. ეს არ არის მავნებლობა? და ეს არ არის სახელმწიფო ინტერესების საზიანო ქმედებები?! მაშინ ყველაფერი გავუუქმოთ. თუმცა ეს ჩვენ დაგვაზარალებს და ასეთი მიდგომა ამ საკითხისადმი არ არის სწორი.

***— რაც შეეხება მომავალ პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს, მალე იქნება ინაუგურაცია, მოდით, ამაზეც ვისაუბროთ, რა ცვლილებებს ელით ამ კუთხით და რას უნდა ელოდოს მოსახლეობა?***

— მე როგორც ვატყობ, პოლიტიკურ განვითარებას თანდათანობით, მე მგონი, ბიძინა ივანიშვილის მიზანი არის, რომ საზოგადოება არ იყოს პოლიტიზებული, როგორც ის დღეს არის. თუ დააკვირდებით იგივე პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, იგივე პრეზიდენტის კანდიდატურას, ყველა ისინი არიან არაპოლიტიკური ფიგურები. ანუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, ან პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები კი არ არიან, არამედ არაპოლიტიკური ფიგურები არიან. რაღაცნაირად ეს კარგიც არის. თუ როგორ იმუშავებს, როგორ გაამართლებს, ამას მომავალი გვაჩვენებს. თუ ჩვენ გადავხედავთ საქართველოს უახლეს ისტორიას, დაწყებული ზვიად გამსახურდიათი და დამთავრებული სააკაშვილით, საქართველოში არ ყოფილა, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელი ფიგურა, ქვეყნის პირველი პირი. ახლა უცბად პრემიერიც და პრეზიდენტიც ორივე უპარტიოა. მე მიმაჩნია, რომ ეს კარგია და ვნახოთ, როგორ შეძლებენ ისინი შემდგომში ამ ტვირთის ზიდვას, მაგრამ თავისთავად ის, რომ ამ პოლიტიკური წნეხისგან ისინი არიან გათავისუფლებული, ჩემი აზრით, ეს კარგია და დადებითად უნდა იმუშაოს ამ ფაქტორმა. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ პრინციპით იყვნენ ესენი შერჩეული, როგორც არაპოლიტიკური ფიგურები. ვნახოთ, შემდგომში როგორ და რა იქნება...

***— თუმცა ამჟამინდელ პარლამენტთან დაკავშირებით უკმაყოფილება დიდია საზოგადოებაში, საუბარია, რომ ის არ ასახავს არსებულ რეალობას... ამავდროულად ვიცით ხელისუფლების პოზიციაც, რომ ისინი არ აპირებენ ვადამდელი არჩევნების დანიშვნას. ამ კუთხით როგორ ელით მოვლენების განვითარებას?***

— პირველი ოქტომბრიდან რაღაც ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს განვითარების და წინსვლის. თუნდაც იგივე, რაც ხდება სოფლებში, მიწები იხვნება, გლეხს საშუალება მიეცა, რომ ნორმალური ცხოვრებით იცხოვროს, იქ ყურძენი ჩაბარდა კარგ ფასში, მაგრამ ეს არის სხვა მხარე, პირადად ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის. ეს არის სხვა მხარე, მივესალმები, მომწონს, მიხარია, მაგრამ ეს არ შეიძლება შევადაროთ იმას, სააკაშვილი როდესაც არღვევდა ადამიანის უფლებებს და იძახდა — ასფალტებს ვაგებ, შადრევნებს ვაშენებ და უი, რა კარგი ვარო. ეს კარგია, სოფელში რაც ხდება, რა თქმა უნდა, ეს არ არის ტოლი არც ასფალტების და არც შადრევნების, ეს გაცილებით მეტია, უფრო კარგია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის საკითხი, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ წამოწია, სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, უმთავრესია. სამართლიანობის აღდგენა არის საზოგადოების დაკვეთა და მოთხოვნა, ეს ამ ეტაპზე ისეთივე პრობლემად რჩება, როგორც ეს იყო, ვთქვათ, პირველი ოქტომბრიდან, როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა და გაჩნდა განცდა იმისა, რომ დასრულდა უსამართლობა და აღდგება სამართლიანობა. აი, ამ მიმართულებით შიმშილი საზოგადოებაში, რომ სამართლიანობის აღდგენა არ ხდება, ეს ნამდვილად არის. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ხდება ეს ასე? თუმცა ვფიქრობ და ასეთი აზრი მაქვს, რომ ეს არის დასავლეთის ძალიან სერიოზული ზეწოლა, მაგრამ ეს არანაირად არ ჯდება ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს ინტერესებში. თუნდაც ის, რომ არ ხდება ხელისუფლებაში მყოფი პირების დასჯა, სამართლიანი დასჯა, მათი, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს ძალიან ცუდი წახალისებაა თუნდაც ახალი ხელისუფლებისთვის.

***— ფიქრობთ, რომ ეს ახალ ხელისუფლებაზე ცუდ გავლენას მოახდენს?***

— საკმაოდ ცუდი მესიჯია ახალი ხელისუფლებისთვის და ქვეყანას ვერ წაიყვანს განვითარების გზაზე, თუ არ მოხდა რეჟიმის გასამართლება. ჩვენზე განვითარებულმა და ჩვენზე წინწასულმა ქვეყნებმა აჩვენეს პრაქტიკა იმისა, რომ ყოველთვის, როცა ასეთი რეჟიმები ჩნდებოდა ასეთ ქვეყნებში, ესპანეთი იქნება ეს, გერმანია თუ სხვა ქვეყნები, ყველგან ხდებოდა ასეთი რეჟიმების გასამართლება და მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. მხოლოდ ასეთი გასამართლების და შეფასების შემდგომ ხდებოდა ამ ქვეყნების წინსვლა და განვითარება. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც არ მოახდინეს რეჟიმის შეფასება, ისინი დარჩნენ ერთ ადგილზე და ვერ ვითარდებიან. აი, მე სწორედ ამ საფრთხეს ვხედავ, რომ კარგია მიწის დახვნა, კარგია, მოსავალს კარგ ფასში თუ ჩაიბარებს სახელმწიფო და გლეხს მიეცემა იმის საშუალება, რომ თავისი შრომა დაუფასდეს. ეს ძალიან კარგია და მივესალმებით, მაგრამ ეს არის სხვა მხარე, მაგრამ მეორე მხარე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ეს არის სამართლიანობა, რომელიც აუცილებლად უნდა აღდგეს. ყველა დამნაშავემ, რომელმაც შებღალა, დაარღვია ადამიანის უფლებები, უკანონოდ გამოყარა სამსახურებიდან, უკანონოდ ჩაყარა ციხეებში, უკანონოდ წაართვა ქონება და საკუთრება ადამიანებს, ჩახოცა ქუჩებში და ასე შემდეგ, ვინც დგანან ამის უკან, ყველა ეს ადამიანები უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე და პასუხი უნდა აგონ ჩადენილ დანაშაულზე. ყველა პირს, ვისაც წაართვეს ქონება უნდა დაუბრუნდეს, ამის მექანიზმების მოძებნა არ არის რთული. კარგი დათვლა უნდა ამ ყველაფერს და რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს ის, ამ ადამიანებს უნდა განაცდევინო, რომ იცავს თავისი სახელმწიფო. ამიტომ აუცილებელია, რომ ეს განცდა გაჩნდეს საზოგადოებაში. ეს განცდა ვერ გაჩნდება, თუკი ის კრიმინალები, რომლებმაც დაარღვიეს ამ ადამიანის უფლებები, ისინი არ იქნებიან დასჯილნი.

***— სხვათა შორის, ახალი პრემიერიც ამ პოზიციაზეა, რომ ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოსო და რამდენად განახორციელებს ამას პრაქტიკაში?***

— ძალიან კარგი, მივესალმები, თუ ეს არის გულრწფელი ნათქვამი და ამ პოზიციას გააგრძელებს, ეს იქნება მისთვის ძალიან სერიოზული რეიტინგის მომტანი, თუკი ის ამ კურსს გააგრძელებს. საზოგადოებისთვის კი იმედის მომცემი, რომ ეს ხელისუფლება მართლაც სხვა კურსს ადგას და სხვა პოლიტიკას ატარებს. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, სხვაგვარად ჩვენი ქვეყანა ვერ განვითარდება და ხელისუფლებისადმი პატივისცემა არ გაუჩნდება არასოდეს, ყოველთვის იქნება ხიდჩატეხილობა ხელისუფლებასა და საზოგადოებს შორის, თუ ხელისუფლებამ არ მოინდომა და არ გააკეთა ის, რასაც საზოგადოებას დაჰპირდა.

## ვინ გახდება მთავარი პროკურორი — ლაშა ნაცვლიშვილი, მაია მნარიაშვილი თუ ზაქარია ქუცნაშვილი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

წლის განმავლობაში“. შესაბამისად, კბილაშვილის შენარჩუნება პროკურორის პოსტზე შეუძლებელი გახდა.

— მან ვერ შეასრულა პოლიტიკური დავალება. ის საქმეები, რომლებზეც ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადებები, რომ ვილაცა არის მონსტრი, კაციჭამია, მათ წარმოედგინათ როგორც პოლიტიკური სარგებლის მომტანი და ისეთი სასამართლო პროცესები, რომელიც პოლიტიკური დივიდენდების მოზიდვას შეძლებდა, მათთვის მძიმე პოლიტიკური შედეგების მომტანი გახდა, — განაცხადა წიკლაურმა და განმარტა, რომ ხუთი საქმიდან, რომელიც ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ იყო წარდგენილი, ოთხში გამართლდა და ერთადერთი საქმე, სადაც სასამართლოს დარწმუნება მოხერხდა, ეს იყო ციხის ბუნტის საქმე.

წიკლაური მიიჩნევს, რომ ამ საქმეში პროკურატურა ქურდებთან და კრიმინალურ ავტორიტეტებთან ერთად გამოვიდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც კატასტროფული შედეგია.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ არჩილ კბილაშვილის გადადგომას სხვა მიზეზებიც ჰქონდეს, თუმცა მიიჩნევს, რომ სწორედ ეს საქმეები გახდა მთავარი მიზეზი.

— ამ ერთი წლის განმავლობაში პროკურატურამ განიცადა მარცხი და ეს აისახა ამ ხელისუფლების პოლიტიკურ შემადგენლობაზე. ვერ გეტყვით, ვინ შეიძლება იყოს კბილაშვილის შემცვლელი, მაგრამ აქ არის არა პერსონალური პრობლემა, არამედ იმაზე, რომ ეს საქმეები პოლიტიკურად მოტივირებულია და ეს გამომჟღავნდა. ვინც არ უნდა იყოს პროკურორი, თუ არ არსებობს რეალური მტკიცებულებები, სამხილები, არგუმენტები, ამის გაკეთებას ვერავინ შეძლებს. კბილაშვილი ხელისუფლების ნებას შეეწირა, — მიიჩნევს წიკლაური.

## ავსტრიიდან საქართველოში დავით ჩაგინავას ექსტრადიცია განხორციელდა

ავსტრიიდან საქართველოში, 1978 წელს დაბადებული დავით ჩაგინავას ექსტრადიცია განხორციელდა, – აცნობეს „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

დავით ჩაგინავა თბილისის, ანკარის და ვენის ინტერპოლების თანამშრომლობის შედეგად 30 სექტემბერს ავსტრიის რესპუბლიკაში დააკავეს. იგი დაპატიმრების და ექსტრადიციის მიზნით ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 10 სექტემბრიდან იმყოფებოდა. მას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 1441 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთას და წამებას. გამოძიებამ დაადგინა, რომ მეგის ქარდავამ შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისადმი დაქვემდებარებული, შს სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა პირებისგან შექმნა სტრუქტურული ფორმის მქონე, მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა. დავით ჩაგინავა წარმოადგენდა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს. მეგის ქარდავას უშუალო დავალებით ჯგუფის წევრებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, ტყის მასივებში, კონკრეტულ პირთა წამების, დაშინების და სხვა უკანონო ქმედებების ჩასადენად მოწყობილი ჰქონდათ ე.წ. „მიწურები“ და ხის სადგომები.

2011 წლის განმავლობაში, აღნიშნული ადგილების გამოყენებით, დავით ჩაგინავა სხვადასხვა დროს, თანამზრახველებთან ერთად, მეგის ქარდავას დავალებით, უშუალოდ მონაწილეობდა ორი პიროვნების გატაცებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ცემაში, წამებაში, არაადამიანურ მოპყრობასა და გაუპატიურებაში. ზემოხსენებულ ქმედებებს ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ, რათა უდანაშაულო პირებისგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები.

**მედიანიუსი**

## მიხეილ სააკაშვილი რიჩარდ ნორლანდსა და მის მეუღლეს შეხვდა

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლეში, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდსა და მის მეუღლეს მერი ჰარტნეტს უმასპინძლა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ავრცელებს.

საელჩოს ინფორმაციით, ნორლანდმა სააკაშვილს მისი მმართველობისას საქართველოს მიერ წინ გადადგმული ნაბიჯები, არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება და გარდამავალი პოლიტიკური პერიოდი მიულოცა. მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში დიპლომატებისთვის გამოსამშვიდობებელი მიღება გუშინ საღამოს გამართა.

**ნიუსპრესი**

# გამოიყენე შესაძლებლობების მაქსიმუმი – ჯეოსელის საუკეთესო შეთავაზება მომხმარებელს

## ტელეფონების ფართო არჩევანი და ყველაზე ხელსარელი პირობები

### ჯეოსელმა განსაკუთრებული მაღაზიები გახსნა!

მრავალჯერ თქმულა, რომ საქართველოში კონკურენცია საკომუნიკაციო ბაზარზე ყველაზე აქტიური და ნაღდია. სწორედ ეს კონკურენცია და კომპანია ჯეოსელის უნიკალური მიდგომა საქმისადმი მობილური ტელეფონების მომხმარებელს (ლამის საქართველოს მთელ მოსახლეობას) ისეთ კომფორტს შეუქმნის, რომელიც ჯერ არასდროს ჰქონია სავაჭრო თუ სამომხმარებლო სფეროში.




პირობითად ტელეფონის რამოდენიმე მოდელი ყველა მობილური ოპერატორის ოფისში შეგიძლიათ შეიძინოთ, მათ შორის ზოგიერთი აპარატი განსაკუთრებით დაბალ ფასადაც. ჯეოსელის ახალი მაღაზიები კი გამორჩეული იმით გახლავთ, რომ საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი ლამის ყველა მწარმოებლის პროდუქცია ტექნიკის სავაჭრო ცენტრივით მრავალფეროვანი ასორტიმენტითაა წარმოდგენილი, თანაც განსაკუთრებულ ფასად და ძალზე მოსახერხებელი პირობებით.

თუმცა ამ მაღაზიებს კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიშან-თვისება ახასიათებს. აქ მთავარი მომსახურების ხარისხი და ინფორმაციულობაა – ალბათ, არცთუ იშვიათად მოგისმენიათ, რომ მავანი თავისი ტელეფონის შესაძლებლობების 10, 15, 30 პროცენტს იყენებს. ეს მაშინ, როცა დღეს ტელეფონი ითავსებს კომპიუტერის მრავალ ფუნქციას, მაშინ, როცა ტელეფონით ჩვეულებრივი საუბრის გარდა ათასი რამ შეიძლება აკეთო.






მიზეზი მარტივია: ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება, ადამიანთა უმრავლესობა კი ვერ ასწრებს მათ გათავისებას, ყველა სიახლეზე თვალ-ყურის მიდევნებას...

ჯეოსელის უნიკალური მიდგომა საქმისადმი იმაში მდგომარეობს, რომ სურვილის შემთხვევაში ჯეოსელის მაღაზიებში მაღალკვალიფიციური ექსპერტები თქვენგან მიწოდებული მოთხოვნის საფუძველზე ზუსტად შეგარჩევინებენ საჭირო მოდელსა და პაკეტს, დაწვრილებით აგიხსნიან აპარატის შესაძლებლობებს და მაქსიმალურად გაგარკვევენ ფუნქციებში. ანუ

**საჭიროების შემთხვევაში გასწავლიან ყველაფერს, რისი ცოდნაც ტელეფონის სრულად გამოყენების შანსს მოგცემთ.**

**ცოდნა უპირატესობაა! – თქვენი ტელეფონის ფუნქციებში აღარ იქნება ბოქლომდადებული შესაძლებლობები!..**

განსაკუთრებით აღსანიშნავია, **ჯეოსელის პრეზიდენტის და გენერალური დირექტორის პასი კოისტინენის** განცხადება იმის შესახებ, რომ ტექნიკური პერსონალი დახმარებას სხვა მობილური ოპერატორების მომხმარებელსაც გაუწევს.

**ჯეოსელის პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი, პასი კოისტინენი:** „რაც უფრო ჭკვიანია ტელეფონი, მომხმარებელს მის მიმართ უფრო მეტი კითხვა უჩნდება. ამიტომ საჭიროა, ისეთი ადამიანის არსებობა, რომელიც მზად იქნება ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცეს. ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და ამიტომაც მაღაზიებში მომხმარებელს დახვდებიან სპეციალისტები, რომლებიც ადამიანებს ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ გარკვევაში დაეხმარება და შეურჩევს მათ საჭიროებებზე მორგებულ ტელეფონებს ჯეოსელის ყველაზე ხელსაყრელ შეთავაზებებთან ერთად.

ხშირად ადამიანებს უახლეს ტექნოლოგიურ სიახლეებში ჩაწვდომა უჭირთ. შესაბამისად, ბევრმა საკუთარი ტელეფონების შესაძლებლობების მხოლოდ მინიმუმი იცის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ „ჯეოსელის“ მაღაზიაში დაგხვდებათ ადამიანი, რომელიც ნებისმიერი დეტალში სრულყოფილად გაგარკვევთ, იმდენ დროს დაგითმობთ, სანამ თქვენთვის ყველაფერი ნათელი არ გახდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „ჯეოსელის“ ექსპერტები მომსახურებას ჩვენს მაღაზიაში მისულ ნებისმიერ ადამიანს გაუწევენ.“




თბილისში უკვე ფუნქციონირებს ჯეოსელის მაღაზიები, სადაც მომხმარებელს შანსი აქვს ეზიაროს მობილური კავშირგაბმულობის შესაძლებლობებს. ერთ-ერთი ასეთი მაღაზია ჭავჭავაძის გამზირზე, „პიქსელის“ შენობაში გაიხსნა. წლის ყველაზე დიდი სიახლეები „ჯეოსელმა“ ღონისძიებისა და ღვინისძიების თანხლებით, მისთვის დამახასიათებელი პომპეზურობითა და მაღალი გემოვნებით გაჯერებულ უბადლო საზეიმო პრეზენტაციაზე წარადგინა.

**ჯეოსელის კომერციული დირექტორი, ივანე მაჭავარიანი:** „რითაც ვამაყობთ – ეს არის სრულიად ახალი დიზაინის მაღაზიები, რომელიც მომხმარებელს უნიკალურ მომსახურებას სთავაზობენ. მაღაზიების სკანდინავიური დიზაინი შვედეთში შემუშავდა და გამოირჩევა მომსახურების განსაკუთრებით მაღალი ხარისხითა და დიზაინით.

გვსურს, მომსახურების სფეროში პირველები ვიყოთ, გარდა ამისა, აქ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ინფორმაცია მიიღოს უახლეს ტექნოლოგიებზე. მაღაზიაში მას დახვდება მობილური ტელეფონების შესაძლებლობებისა და კომპანიის ხელსაყრელი შეთავაზებების უნიკალური სინთეზი. ყველა მსურველი შეძლებს ერთ სივრცეში, მობილური ტერმინალის ექსპერტების დახმარებით, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თანამედროვე მობილურ ტექნოლოგიებზე, აირჩიოს მის შესაძლებლობებზე მორგებული ტელეფონი, სრულყოფილად გაერკვეს მის ფუნქციებში და ეფექტურად გამოიყენოს იგი ჯეოსელის მრავალფეროვანი პაკეტების საშუალებით. „ჯეოსელის“ უნიკალური მაღაზიების ტექნოლოგიურ სტენდზე ყველა მსურველი შეძლებს გაეცნოს ამა თუ იმ სიახლეს და თავად გამოსცადოს მისი უპირატესობა. სპეციალურ საპრეზენტაციო სივრცეში კი მოეწყობა შემეცნებითი და გასართობი აქტივობები მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური სიახლებთან და სამომავლო ტენდენციებთან დაკავშირებით.

მაღაზიები ჯერ-ჯერობით თბილისში გაიხსნა. გეგმაშია ქსელის გაფართოება და მოგვიანებით კი ასეთი მაღაზია საქართველოს სხვა ქალაქებშიც იქნება.“

### პაკეტი „მეტი,“ – „უფრო მეტის“ შეთავაზება ჯეოსელისგან

კიდევ ერთი სახლე „ჯეოსელისგან“ გახლავთ პაკეტი „მეტი“ – ეს არის სასაუბრო დროის, SMS-ების და ინტერნეტის ოპტიმალური სინთეზი. ეს გულისხმობს ყველაზე ხელსაყრელი ფასს, გადახდის მარტივ ფორმას ნებისმიერი აპარატიდან და გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცლებას.

### ჯეოსელი სოციალური პასუხისმგებლობის კომპანიაა

ამ მხრივაც სრულიად განსხვავებული პროექტები ხორციელდება. ერთმა მათგანმა სწორედ ახლა აიღო სტარტი: ჯეოსელის მაღაზიებში განთავსებულია სპეციალური ყუთები, სადაც ყველა მსურველს შეუძლია მოათავსოს მობილური ტელეფონის ძველი გამოუსადეგარი ნაწილები, რომელიც კომპანიის ინიციატივით ცალკე გადამუშავდება. მოგეხსენებათ, რომ ისინი ისეთივე საფრთხეს წარმოადგენენ ბუნებისთვის, როგორც პოლიეთილენის პარკები და პლასტიკატის ნაკეთობები. შესაბამისად, ეს ბუნების დაცვისთვის გადადგმული ნაბიჯია.

**თელიასონერას ჯგუფის წევრი ჯეოსელი ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება მობილური კომპანია, რომელიც საქართველოს მოსახლეობას უზრუნველყოფს საუკეთესო სტანდარტის მქონე ინოვაციური პროდუცტებითა და მომსახურებით.**

**ანა ვაჩნაძე**

# კვერცხის ფასი იზრდება

შორენა გონგლაძე

საქართველოში კვერცხის იმპორტი უკვე სამი თვეა შეჩერებულია. სურსათის უვნებლობის სამსახურმა კვერცხის იმპორტზე ნებართვები ბოლოს 2013 წლის ივლისში გასცა. 8 ივლისს 302 400 ცალი კვერცხი შემოვიდა საქართველოში მოლდოვიდან, ხოლო 25 ივლისს – 3 024 000 ცალი კვერცხი. სურსათის უვნებლობის სამსახურში არ იძლევიან ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებმაც აღნიშნული კვერცხი შემოიტანეს საქართველოში. აღნიშნულ სტატიას ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეტი" აქვეყნებს, სადაც ნათქვამია, რომ სურსათის უვნებლობის სამსახური კვერცხის იმპორტის შეჩერების მიზეზად სავალდებულო მარკირებას ასახელებს, ხოლო მეწარმეები ამ ბიზნესში მთავრობის ჩარევაზე საუბრობენ. როგორც გამოცემაშია ნათქვამი, თამაზ ირემაძე ხოფის ბაზრობაზე თურქეთიდან იმპორტირებული კვერცხით 2012 წლის დეკემბრიდან ვაჭრობდა:

– ახლა თურქული კვერცხი საქართველოში აღარ შემოდის. ჩემთან იყვნენ ის თურქი მეწარმეები, რომლებსაც კვერცხი შემოჰქონდათ და მითხრეს, რომ ივნისიდან კვერცხის იმპორტზე ნებართვა გახდა საჭირო. ისინი თბილისში გეგმავენ ჩასვლასა და ნებართვის აღებას, შემდეგ კი შეიძლება კვერცხის იმპორტი ისევ განაახლონ. თუმცა ახლა ერთი ყუთის ფასი თურქეთში 35დ40 დოლარია და, ალბათ, საქართველოში შემოტანაც არ უღირთ, – აცხადებს თამაზ ირემაძე.

მეწარმე რევაზ დიასამიძე, რომელსაც აჭარაში მცირე ფერმა აქვს, ამბობს, რომ ბაზარზე კვერცხის დეფიციტი რამდენჯერმე შეიქმნა, რამაც კვერცხის ფასი 32 თეთრამდე გაზარდა:

– ადრე თურქული კვერცხის შემომტანები ძმები ნაკაშიძეები იყვნენ. ახლა აღარ შემოაქვთ. დეფიციტი იყო ბაზარზე, რადგან ადგილობრივი წარმოება მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

რევაზ დიასამიძე ამბობს, რომ კვერცხის ბაზარზე სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც კვერცხის მარკირება სავალდებულო გახდა:



– მარკირებამდე შემოჰქონდათ ირანული, უკრაინული და თურქული კვერცხი, ეტიკეტების გარეშე, მერე ქართულ კვერცხად ასაღებდნენ და ბაზარი იყო გადაჯერებული. როცა ახალი დადგენილება შემოვიდა, რომ კვერცხს უნდა ჰქონოდა მარკირება, ამან გამოიწვია დეფიციტი. კომპანიები ჩვენთან იმდენ კვერცხს არ აწარმოებდნენ, რამდენსაც ყიდდნენ. ყველამ კარგად იცის, ვინ აწერდა უცხოურ კვერცხს თავისი კომპანიის ლოგოს. ახლა ეს აღარ ხდება და ბაზარზე მცირე დეფიციტია, რამაც კვერცხის ფასი 32 თეთრამდე გაიზარდა.

პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის მფლობელი ოთარ მუჩიაშვილი ამბობს, რომ კვერცხის იმპორტი საქართველოში აგვისტოს პირველი რიცხვებიდან შეჩერდა:

– იმპორტი რომ შეჩერდა, ეს ძალიან კარგია. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან უცხოური კვერცხი აღარ შემოდის. ეს რომ გაგრძელებულიყო, ჩვენი კვერცხი გადასაყრელი უნდა გამხდარიყო. მოვითხოვეთ, იმპორტი არ შემოსულიყო და მთავრობა ჩავაყენეთ საქმის კურსში. მივმართეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ეს საკითხი პრემიერის დონეზე გადაწყდა, – აცხადებს მუჩიაშვილი.

კვერცხის იმპორტის შეჩერებას ეთანხმება კვერცხის მწარმოებელი კომპანია „ალგეთის" მენეჯმენტიც. კომპანიაში აცხადებენ, რომ მთავრობის ეს გადაწყვეტილება ადგილობრივ მეფრინველეობის ფაბრიკებს წაახალისებს და მათ წარმადობას გაზრდის.

კვერცხის იმპორტის შეჩერების საკითხის პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის დონეზე გადაწყვეტას უარყოფენ მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურში:

„რას ნიშნავს პრემიერის დონეზე საკითხის გადაწყვეტა? პრემიერი სხვა ფორმით გადაწყვეტილებებს არ იღებს. საკითხები გამოდის მთავრობაზე და მტკიცდება ან წყდება პრემიერის სპეციალური განკარგულებით, რომელიც ასევე განთავსდება მთავრობის ვებგვერდზე. პრემიერი ამ სფეროს მეწარმეებს პირადადაც არ შეხვედრია".

კვერცხის იმპორტის შეჩერების შესახებ ოფიციალური ბრძანება და განკარგულება არ გამოცემულა, – აცხადებენ სურსათის უვნებლობის სამსახურში:

„ჩვენს უწყებას კვერცხის იმპორტი არ აუკრძალავს, არანაირი ნორმატიული აქტი არ მიგვიღია. უბრალოდ, იმპორტიორებს სურვილი აღარ აქვთ, რომ კვერცხი შემოიტანონ. კვერცხის მარკირების წესი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 მაისის №90 დადგენილებით („ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ") განისაზღვრა. კვერცხის მარკირება 1 ივნისიდან სავალდებულო გახდა. მწარმოებელ ქვეყანას უნდა დაეტანა წარმოების თარიღი. ამის მერე იმპორტმა იკლო. მოსახლეობა არჩევანს ქართულ კვერცხზე აკეთებს. ეს სუფთა ბიზნესის ამბავია და სურსათის ეროვნული სააგენტო აქ არაფერ შუაშია".

ადგილობრივ ბაზარზე კვერცხის იმპორტის სეგმენტიდან მოთამაშეების გასვლის შემდეგ პროდუქტზე ფასი 3-4 თეთრით გაძვირდა. სავაჭრო ქსელში ადგილობრივი, მარკირებული კვერცხის ფასი 29-30 თეთრია.

სუპერმარკეტების მფლობელები ამბობენ, რომ ზაფხულში კვერცხის ფასი საცალო ქსელში 25-26 თეთრი იყო:

– ახლა ადგილობრივ კვერცხზე მოთხოვნა სტაბილურია. არის მცირე დეფიციტი.

პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის მფლობელი ოთარ მუჩიაშვილი ამბობს, რომ კვერცხის იმპორტის შეჩერების შემდეგ მისი კომპანიის გაყიდვები 100 პროცენტით გაიზარდა:

– ბაზარზე მოთხოვნა არის, მცირე დეფიციტი კი იმიტომ წარმოიშვა, რომ ფაბრიკებს სულადობა ჰყავდათ განახევრებული. რაც შეეხება ფასს, ოთარ მუჩიაშვილი ამბობს, რომ საცალო ქსელში კვერცხის ფასი 23-24 თეთრია. ფასს მაღაზიები ზრდიან, რადგან მათ არავინ აკონტროლებს.

საქართველოს მთავრობამ კვერცხის იმპორტი თავდაპირველად 2006 წელს შეაჩერა და ამის მიზეზად „ფრინველის გრიპის" პრევენცია დაასახელა, თუმცა მოგვიანებით იმპორტი ნაწილობრივ აღდგა, ხოლო სრულად 2010 წელს შეჩერდა. კვერცხის იმპორტზე აკრძალვა 2012 წლის დეკემბერში მოიხსნა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, 2013 წლის ორ კვარტალში საქართველოში 16 900 000 ცალი კვერცხის იმპორტი განხორციელდა.

# ბიუჯეტის სეკვესტრი გარდაუვალია

შორენა გონგლაძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრობს. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის, პარლამენტის დეპუტატ ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, საქართველოში ეკონომიკური ზრდა, პრაქტიკულად, შეჩერებულია. ამის შესახებ დეპუტატმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა 1,3 პროცენტია, წლიური ზრდა კი, მაქსიმუმ, 2,5 პროცენტი შეიძლება იყოს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა, პრაქტიკულად, გაჩერებულია. წლის დანაკლისი ნახევარი მილიარდიდან 1 მილიარდამდე იქნება. მთავრობას ხარჯების შეცვლა აუცილებლად მოუწევს. ჩვენი გაანგარიშებით, ძირითადად, ინფრასტრუქტურული პროექტები შეიკვეცება, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

მისივე განცხადებით, პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს 2014 წლის ბიუჯეტი არარეალურ გათვლებზეა აგებული.

– მომავალი წლის ბიუჯეტი ეკონომიკის 6-პროცენტიან ზრდაზეა გათვლილი, რაც არარეალურია. მომავალი წლის ვალდებულებების შესრულებას 400 მილიონი ლარის შიდა ვალი დასჭირდება. ის, ძირითადად, საყოველთაო ჯანდაცვისა და გაზრდილი პენსიისთვის გახდება საჭირო. სოციალური ვალდებულებების სესხით დაფინანსება კი ძალიან ცუდია, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ. მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა მთავრობას მოსალოდნელ პრობლემებზე აფრთხილებდა, მაგრამ მმართველ ძალას ეს ამავე პარტიის „ახირება" ეგონა.

ეკონომიკასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობს ასევე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ზურაბ ჭიაბერაშვილიც. მისი განცხადებით, ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაციაა და ეს ბევრი ადამიანის ჯიბეს ეტყობა. მისი თქმით, დღეს საქართველოსათვის უპირველეს საკითხად ეკონომიკის მდგომარეობა უნდა იყოს დასმული, თუმცა მთავრობა მის გამოსასწორებლად ქმედით ნაბიჯებს არ დგამს.




– ეკონომიკის მინისტრმა გუშინ, პრაქტიკულად, განაცხადა, რომ შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტის შესრულება პრობლემის წინაშე დგას. ნაციონალური მოძრაობა ამას დიდი ხანია აცხადებს. თვეებია ვამბობთ, რომ მთავრობამ ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად და ბიზნესკლიმატის გასაუმჯობესებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა. ვაცხადებდით, რომ ბიუჯეტს თანხა აუცილებლად დააკლდებოდა და ამ მდგომარეობამდე კიდეც მივედით, – აღნიშნა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

მისი თქმით, როგორც კი პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილი დამტკიცდება, მთავრობას, უპირველესად, პარლამენტში ბიუჯეტის კორექტირების მოთხოვნით შესვლა მოუწევს.

# რა სიურპრიზებს შესთავაზებს შრომის კოდექსი ქალბატონებს?

მერი ნამორაძე

შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების პირველ ტალღას სულ მალე მეორე მოჰყვება. ამჯერად აქცენტი ქალთა შრომით უფლებებზე გაკეთდება. იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ დღეს საქართველოში ქალთა შრომითი უფლებები სათანადოდ დაცული არ არის და ხარვეზს გამოსწორება სჭირდება. როგორც ჩანს, დამსაქმებლები სიახლეების მისაღებად მეტ-ნაკლებად მზად არიან, რადგან ისეთი წინააღმდეგობა, როგორიც ცვლილებათა პირველ ტალღას მოჰყვა, ბიზნესწრეებში არ შეინიშნება.

გუშინ პროფესიული კავშირების გაერთიანებამ შრომის კანონმდებლობის რეფორმირების საკითხებზე კონფერენციას უმასპინძლა და დაინტრესებულ მხარეებთან ერთად შრომის კოდექსში ცვლილებების ის პაკეტი განიხილა, რომელიც ქალთა შრომით უფლებებს ეხებოდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ იუსტიციის, განათლების, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, პროფკავშირის გაერთიანების წარმომადგენლები.

მაინც რა სიურპრიზებს უმზადებს ქალბატონებს შრომის კოდექსი? როგორც იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ზურაბ სანიკიძემ აღნიშნა, ახალი ცვლილებები შეეხება ორსულ, ახალნამშობიარევ, მეძუძურ, 1 წლამდე ასაკის ბავშვის და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მომვლელების ინტერესთა დაცვას. ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარი პირობები ანაზღაურების, დაწინაურების, ფულადი კომპენსაციის და სხვა შრომის პირობების თვალსაზრისით. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან, არ ესაჭიროება კანდიდატის კონკრეტული სამუშაოს შესრულების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად და შეიძლება ეხებოდეს კანდიდატის ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ორსულობას, სექსუალურ ორიენტაციას, რელიგიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს.



ჩვლილებები შევა მე-12 მუხლში, რომლის მიხედვით აიკრძალება შშმ-პირის, არასრულწლოვნის, ორსული, ახლადნამშობიარევი ან მეძუძური ქალის მივლინებაში გაგზავნა მისი თანხმობის გარეშე.

ცვლიანობის განრიგის დამტკიცებისას დამსაქმებელი ვალდებული იქნება გაითვალისწინოს ორსული, ახლადნამშობიარევი თუ მეძუძური ან წლამდე ასაკის ბავშვის და 18 წლამდე შშმ პირის მომვლელის ინტერესები. რაც შეეხება ზეგანაკვეთურ სამუშაოს, აიკრძალება ორსული თუ ახლადნამშობიარევი ქალის, 3 წლამდე ასაკის ბავშვის ან 18 წლამდე ასაკის შშმ პირის მომვლელის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

აიკრძალება ღამის სამუშაოზე – 22 საათიდან 6 საათამდე არასრულწლოვნის, ორსული, ახლადნამშობიარევი და მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო შშმ პირის, 3 წლამდე ასაკის ბავშვის და 18 წლამდე ასაკის შშმ პირის მომვლელის დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

ცვლილებები გაითვალისწინებს დამატებით შესვენებას მეძუძური ქალებისათვის ბავშვის ერთ წლამდე ასაკამდე. დედის მოთხოვნის საფუძველზე ქალს უნდა მიეცეს დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ ერთი საათისა. დასაქმებულს უფლება ექნება ეს დრო გამოიყენოს ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ სამუშაო დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ბავშვის კვებისათვის შესვენება ჩაითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება ქვეყნის ბიუჯეტიდან 1000 ლარის ოდენობით. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე.

**ზურაბ სანიკიძემ** „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ შეხვედრები მიმდინარეობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის დამსაქმებლებთან:

– არის კონკრეტული მოსაზრებები, როცა დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ სხვანაირად უნდა დარეგულირდეს ესა თუ ის საკითხი, დასაქმებულებს მიაჩნიათ, რომ საპირისპიროდ უნდა გადაწყდეს. ჩვენ ამიტომ გავდივართ კონსულტაციებს სხვადასხვა მხარეებთან, რომ მაქსიმალურად დაბალანსებული, ყველას ინტერესებზე მორგებული კანონი მივიღოთ. მივიღოთ ქალთა შრომითი უფლებების გაზრდა ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს საპირისპირო შედეგი ბიზნესზე, რაც, დამერწმუნეთ, იმავე ქალბატონებზე აისახება დასაქმების კუთხით უარყოფითად. პირველადი ვერსია, რაც საზოგადოებას, ბიზნეს-წრეებს წარვუდგინეთ, მიესალმებოდნენ აბსოლიტურად. თუმცა, კონსულტაციები გრძელდება, გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივია, იარსებებს და ჩვენ შევეცდებით, ყველას ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული და მივიღოთ ისეთი ცვლილებები, რაც არავის დააზარალებს. პირიქით, ხელს შეუწყობს ქალბატონების დასაქმებას, მათი უფლებების გაზრდას და ეკონომიკაზეც არ იმოქმედებს უარყოფითად.

რაც შეეხება პროფკავშირების ქალთა ორგანიზაციის დამოკიდებულებას იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცვლილებებისადმი, მათ შემუშავებული აქვთ წინადადებები, რაც სასურველია გათვალისწინებული იქნას შრომის კოდექსში. მათი ნაწილი უკვე გათვალისწინებული და ასახული იქნა, ნაწილზე ისევ მიმდინარეობს მსჯელობა. ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ეთერ მათურელმა „ახალ თაობასთან" საუბრისას საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ ქალთათვის თანაბარი შრომითი უფლებების შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

**ეთერ მათურელი:**

– მიგვაჩნია, რომ პირველი, რაც აუცილებელია, იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს კერძო სექტორში დასაქმებული ქალი, როგორითაც საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალი სარგებლობს. კერძოდ, საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალბატონს, რაც ძალიან კარგია, აქვს უფლება ვიდრე შვილი სამი წლის არ გახდება, შეუნარჩუნდეს სამუშაო ადგილი და არ გათავისუფლდეს სამსახურიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტესტირებას ვერ გაივლის და მისი კვალიფიკაცია არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. კერძო სექტორში დასაქმებულ ქალბატონებს ეს უფლება არ აქვთ. ისინი დეკრეტული შვებულებიდან გამოვლენ თუ არა, შეიძლება მეორე დღესვე განთავისუფლდნენ სამსახურიდან. თუმცა, ძალიან კარგია, რომ ფეხმძიმე ქალის განთავისუფლება აიკრძალა. მეორე – საჯარო სამსახურში მომუშავე ქალბატონს დეკრეტული შვებულების 1000 ლარის მიღების გარდა შეევსება ზღვარი მის ხელფასამდე. კერძო სექტორში კი უფრო ნაკლები რომ ჰქონდეს ხელფასი, მიეცემა უფრო ნაკლები დეკრეტული შვებულების ანაზღაურება.

კვალიფიკაციის ამაღლება დღეს ყველგან საჭიროა, გინდ კერძო სამსახურში, გინდ საჯარო სამსახურში. საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალბატონებს უფლება აქვთ გამოიყენონ 5 წლის განმავლობაში წელიწადში ორი კვირა მაინც გამოიყენონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მათ ეს აუნაზღაურდეთ. კერძო სექტორში ამით არ სარგებლობს არც ერთი ქალბატონი.

ვაყენებთ იმ საკითხს, რომ არსად არის გათვალისწინებული მარტოხელა დედის სტატუსი, ასევე მრავალშვილიანის სტატუსი. თუ სტატუსი არ არსებობს, კანონმდებლობაც ვერ გაითვალისწინებს მათ უფლებებს და ასე შემდეგ.

# ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი

*ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ პირველი საქმის განხილვა დაასრულა. მართალია, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის ეს პირველი საქმეა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, საერთო ჯამში კი, მართლმსაჯულების უახლეს ისტორიაში ბრალდებულ ბესიკ ბ-ს საქმე მეექვსე საქმეა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა.*



ბესიკ ბ-ს ბრალად ედებოდაა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა და განზრახ მკვლელობის მცდელობა. კერძოდ, მისთვის წაყენებული ბრალდების მიხედვით, ბრალდებულმა თერჯოლაში ურთიერთშელაპარაკების დროს, შურისძიების მოტივით, დანის გამოყენებით განიზრახა ორი პირის რეზო ნიშნიაძის და გიორგი გარმელიას მოკვლა, რა მიზნითაც მათ მიაყენა სხეულის სხვადასხვა მიდამოებში ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები, რის შედეგადაც, რეზო ნიშნიაძე გარდაიცვალა, ხოლო გიორგი გარმელია სიკვდილს გადაურჩა ბესიკ ბ-გან დამოუკიდებელი მიზეზების გამო - დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით შეირჩა 12 ნაფიცი მსაჯული და ორი სათადარიგო მსაჯული.

საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების მოსმენისა და შეფასების შემდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა ბესიკ ბ. განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ სცნეს, ხოლო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ორი ან მეტი პირის მიმართ - გაამართლეს.

საერთო სასამართლოების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი 2010 წლიდან ამოქმედდა. მისი მიზანია მოქალაქეების პირდაპირი და უშუალო მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 12 მსაჯულისა და 2-3 სათადარიგო მსაჯულისაგან შედგება, რომელთა შერჩევაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხდება.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა კონფიდენციალურია. მათი უსაფრთხოების მიზნით, სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა. სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

გამამტყუნებელი განაჩენი შესაძლებელია ერთჯერადად, საკასაციო წესით გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას.

# უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები

*ბოლო ერთი კვირის მანძილზე, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი განაჩენი შეიძლება გამოიყოს, რომლებიც უზენაესი სასამართლოს, როგორც საკასაციო ინსტანციის როლსა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. ასევე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, შესაძლოა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიცვალოს მთლიანად ან ნაწილობრივ, ან გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვოს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, თითოეული გადაწყვეტილების უკან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს, როგორც ნორმის განმარტების ფუნქციის მატარებელი ინსტანციის მნიშვნელობა დგას.*



### უზენაესი სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილება

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებული ბ. ზ. უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და იგი სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა. პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალის თანახმად, ბ. ზ-ს 2012 წლის 1 მაისს, სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში კონფლიქტი მოუვიდა ა. გ-სთან, რა დროსაც ბ. ზ-მ გამოიყენა სახრახნისი, რითიც ა. გ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. მიღებული ჭრილობების შედეგად 2012 წლის 4 ივნისს ა. გ. გარდაიცვალა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ბ. ზ. ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის განაჩენით ბ. ზ.-ს "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით, ბ. ზ. გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ არ დადგინდა მიზეზობრივი კავშირი ბ. ზ.-ის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა არ დადასტურდა ბ. ზ.-ის მიერ განხორციელებულ ქმედებას შეეძლო თუ არა იმ ხარისხის დაზიანებების მიყენება, რაც, ექსპერტის დასკვნის თანახმად, ა. გ.-ის სიკვდილის მიზეზი გახდა. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამოკვლეული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი ბ. ზ.-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის და იგი წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა.

### უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეცვალა

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ შეცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში.

საქმე პირველი ინსტანციის წესით ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ განიხილა და 2013 წლის 28 მარტის განაჩენით ა. კ. და ა. გ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულების ჩადენაში, კერძოდ; ძარცვასა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში.

საქმის მასალების თანახმად, 2012 წლის 26 ნოემბერს დაახლოებით 00.10 საათზე ქ. ბათუმში, ბეთლემის ქუჩაზე არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ა. კ., ა. გ.-სთან და ამ ეტაპზე გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების მიზნით, თავს დაესხა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს, რა დროსაც მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მათ თანხას- 1000 დოლარსა და 50 ლარს და 7245 ლარის ღირებულების აუდის" მარკის ავტომანქანას.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ გამოიკვლია საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და ა. კ.-ს სასჯელის ზომად განუსაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა-1000 ლარი, ხოლო ა. გ.-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარი.

მსჯავრდებულებმა განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს, რომელმაც შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მსჯავრდებულები გაამართლა ძარცვის ბრალდებაში და დამნაშავედ ცნო მხოლოდ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ჩადენაში. შესაბამისად, ა. კ.-ს და ა. გ.-ს სასჯელის ზომად განესაზღვრათ მხოლოდ ჯარიმა-1000 ლარი და ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ პატიმრობიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციაში ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გაასაჩივრა.

საკასაციო პალატამ იმსჯელა წარმოდგენილ საჩივარზე და პროკურორის საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. კერძოდ: უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი საქმის მასალებით, ა. კ-სა და ა. გ-ს მსჯავრს (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) ასევე უნდა დაემატოს თვითნებობის მსჯავრდება.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. კ.-ს მიესაჯა 2 წლითა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ა. გ-ს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა ნაწილობრივ შეცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ჭ-ის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა თაღლითობა.

აღნიშნული საქმე პირველი ინსტანციის წესით რუსთავის საქალაქო სასამართლომ განიხილა და სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის განაჩენით მ.ჭ. გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ბრალდების ორი ეპიზოდი).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განაჩენით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად, რომელიც პროკურატურამ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით, რუსთავის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ:

მ. ჭ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 7 000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მ. ჭ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა ჯარიმა - 5 000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდების პირველ ეპიზოდში (დაზარალებული ნ. ბ.-ის ეპიზოდი) მ. ჭ-ს გამართლების ნაწილში კანონიერი და დასაბუთებული იყო, რის გამოც ამ ნაწილში დატოვა უცვლელად.

რაც შეეხება ბრალდების მეორე ეპიზოდს და მეორე დაზარალებულს, პალატამ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ და მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მ. ჭ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა დაზარალებულ ხ. ზ.-ის ფულად თანხას.

# სახელმწიფო კომპენსაციის მიღების გამარტივებული წესი

*"სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ" კანონში ცვლილებები შედის. კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა და რომლის ამოქმედებაც 1 იანვრიდან არის დაგეგმილი, პროკურატურის ყოფილი მუშაკებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღებისთვის დადგენილი 25-წლიანი მუშაობის სტაჟის 20-წლამდე შემცირებას ითვალისწინებს.*

კანონპროექტით, ფართოვდება იმ უწყებების რაოდენობა, სადაც საპროკურორო მიმართულებით მუშაობა 20-წლიანი მუშაობის სტაჟში ჩაითვლება.

საქმე ისაა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროკურატურის ყოფილი მუშაკი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მიიღოს სახელმწიფო კომპენსაცია, თუ მას აქვს პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში ამ სპეციალობით მუშაობის 25-წლიანი სტაჟი და პროკურატურის სისტემიდან ის მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის გამო დაითხოვეს.

კანონში შესატანი ცვლილების მიხედვით, სამუშაო სტაჟის მოცულობა 20-წლამდე ჩამოდის და ყოფილ პროკურორებს შესაძლებლობა მიეცემათ, სახელმწიფო კომპენსაცია არა მარტო საპენსიო ასაკის გამო მიიღონ, არამედ, ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც პროკურატურის სისტემიდან ისინი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდნენ. გარდა ამისა, ყოფილ პროკურორებს სახელმწიფო კომპენსაცია მიეცემათ შტატების შემცირებაში მოყლოს შემთხცვევაშიც.

ეს ცვლილებები შეეხება ასევე თავდაცვის, სასჯელაღსრულების, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის სამინისტროების შესაბამის საგამოძიებო დანაყოფებში პროკურორის სპეციალობით მომუშავე პირებს.

# რატომ არ არის გამოძიებული 7 ნოემბრის დარბევა?!

ნათია ხურცილავა



**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის გადადგომის ფაქტი შეაფასა. რატომ გადადგა კბილაშვილი მთავარი პროკურორის პოსტიდან? იყო თუ არა კონკრეტული მიზეზები და რა იყო რეალური მიზეზები?**

– მთავარ პროკურორს უნდა მოეხდინა პროკურატურის სასწრაფოდ რეორგანიზაცია და ახლი კადრებით დაკომპლექტება, რაც ძალიან რთული გასაკეთებელი იყო, – ამბობს კოჟორიძე.

კახა კოჟორიძის შეფასებით, არჩილ კბილაშვილს მთავარი პროკურორის პოსტზე ყოფნა რთულ პერიოდში მოუწია. ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად ის კოჰაბიტაციის პირობებს ასახელებს.

– ასევე ძალიან რთული იყო ადრინდელი დანაშაულის გამოძიებასთან ერთად სასამართლოში საქმეების წაგება. პროკურატურა სასამართლოში სუსტი იყო და ეს ღიად ჩანდა. სასტარტო პრობლემები, ცხადია, პროკურატურას ჰქონდა. რთული იყო განსაკუთრებით პირველ პერიოდში, რომ სასამართლო რაღაც კუთხით პროკურატურას დაუპირისპირდა. პროკურატურის შუამდგომლობები 2012 წლამდე, ჩვენი მონიტორების მიერ გამოვლენილი შედეგების თანახმად, ასიდან ასი პროცენტში კმაყოფილდებოდა, ერთი გამონაკლისიც არ იყო. უცებ სასამართლომ შეცვალა სტანდარტი, უფრო ზუსტად კი, აამაღლა, რასაც მივესალმებით, მაგრამ სასამართლოს ამ მაღალ სტანდარტს მოუმზადებლები შეხვდნენ პროკურორები და ამან ბევრ საქმეში კითხვის ნიშანი გააჩინა, – აცხადებს კოჟორიძე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე მთავარი პროკურორის პოსტიდან არჩილ კბილაშვილის წასვლის ფაქტზე ამბობს, რომ რთულ პერიოდში მოუწია პროკურორობა.

– არჩილ კბილაშვილს მოუწია ძალიან რთულ პერიოდში მთავარი პროკურორის უფლება-მოვალეობის შესრულება. მე იმას ვგულისხმობ, რომ როდესაც ის მთავარ პროკურორად დაინიშნა, პროკურატურას რამდენიმე ათასი ადამიანი მიაწყდა, რომლებმაც შეიტანეს განცხადებები, სადაც საუბარი იყო წინა ხელისუფლების დროს ჩადენილ მძიმე დანაშაულებზე, – აცხადებს კოჟორიძე.

საიას თავმჯდომარე ასევე რამდენიმე საქმეზე საუბრობს, რომლებზეც პროკურატურის შესაბამისი რეაგირება არ ჰქონია.

– ბოლო პერიოდის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა გვქონდა, როდესაც პოლიციის თანამშრომლები დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებებს ჩადიოდნენ, ყოველ შემთხვევაში, იმ ადამიანების თქმით, რომლებიც ამის მსხვერპლნი იყვნენ, მივმართავდით პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით და, სამწუხაროდ, ამ საქმეებზე რეაგირება არ იყო ისეთი, როგორიც კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო. ერთი ან ორი ადამიანის პასუხისგებაში მიცემა არასაკმარისი ღონისძიება. ასევე წამებასთან დაკავშირებით, როდესაც ვამბობდით, რომ ეს სისტემური დანაშაული იყო, ნამდვილად არარელევანტურია იმის თქმა, რომ ბრალი 17 ადამიანს წაუყენეს და ამით პრობლემა ამოიწურა, – განაცხადა კოჟორიძემ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე პროკურატურაში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს. ერთ-ერთ ხარვეზად კოჟორიძეს გახმაურებული საქმეების ირგვლივ არსებული ბურუსი და საქმეების გაუხსნელობა მიაჩნია.

კახა კოჟორიძეს ასეთ ერთ-ერთ საქმედ 7 ნოემბრის გახმაურებული და ჯერ კიდევ გაუხსნელი საქმე მიაჩნია.

– რაც შეეხება პროკურატურის საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, ეს არის ის, რომ ჯერ კიდევ ბევრი კითხვის ნიშანია საქმეებთან მიმართებით, ვგულისხმობ გახმაურებულ საქმეებსა და მათ გამოძიებას. რატომ არ იცის საზოგადოებამ ამ გახმაურებული საქმეების შესახებ? ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე არის 7 ნოემბრის საქმე, რაც სამართალდამცავ ორგანოებს, მათ შორის პროკურატურას უნდა გამოეძიებინა, მაგრამ საქმე კვლავ გამოუძიებელია. ამ საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებამ გამოძიების კუთხით არაფერი არ იცის. სწორედ 7 ნოემბერს მოხდა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები. 7 ნოემბრის უმძიმესი ფაქტები უნდა გამოეძიებინა პროკურატურას. ადამიანების უფლებების მასობრივი დარღვევის ამსახველი ვიდეოკადრები არსებობს და, შესაბამისად, საზოგადოებამ კარგად იცის ეს კადრები, ამ კადრებში კარგად ჩანს, თუ როგორ სასტიკად სცემენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები კონკრეტულ ადამიანებს. ეს ფაქტები, საქმეები გამოძიებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მარტივია ამ საქმეების გამოძიება. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ კადრებში სახეები ჩანს და პიროვნების იდენტიფიცირება სავსებით შესაძლებელია, ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ამ საქმეში მხოლოდ ტელეკომპანია „იმედის“ მესაკუთრის შეცვლა, რა თქმა უნდა, 7 ნოემბერთან მიმართებით არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობა აღდგა და დამნაშავე კანონის ფარგლებში დაისაჯა. ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ამ საქმესთან მიმართებით არსებობს, ისევე, როგორც ძალიან ბევრ სხვა საქმესთან დაკავშირებით. მაგალითად, 26 მაისთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილისთვის ბრალის წაყენება არ ნიშნავს, რომ პრობლემა ამოიწურა. როგორც ვიცით, კიდევ რამდენიმე შემთხვევაში არის საქმის გამოძიება დაწყებული, მაგრამ საქმე გამოძიებული არ არის. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ სერიოზული კვლევის საფუძველზე ამბობს, რომ 26 მაისს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა მოხდა. ამდენად, ერთი ან ორი ადამიანის პასუხისგებაში მიცემა არასაკმარისი ღონისძიებაა, – ამბობს 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით კოჟორიძე.

კახა კოჟორიძემ ყურადღება წამების ფაქტებთან დაკავშირებითაც გაამახვილა და აღნიშნა, რომ არარელევანტურია მხოლოდ 17 ადამიანისთვის ბრალის წაყენება აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით.

– ასევე წამებასთან მიმართებით როდესაც ვამბობთ, რომ ეს იყო სისტემური დანაშაულებრივი ქმედება, ნამდვილად არ არის საკმარისი იმის თქმა, რომ 17 ადამიანს წაუყენეს ბრალი და ამით პრობლემა ამოიწურა, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ იმას, რომ 17-ვეზე, ფაქტობრივად, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. მათ სასჯელი ნამდვილად არ შეეფერებოდათ, ყოველ შემთხვევაში, იმ დანაშაულისთვის, რომელზეც იყო საუბარი, ადამიანების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე, თუ რეალურად ჩაიდინეს ეს დანაშაული, მაშინ ისინი სასჯელის სხვა ფორმას იმსახურებდნენ, – აცხადებს კახა კოჟორიძე.

# სამებაში შემეცნებითი საუბრები განახლდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლისა და ერევნის მხითარ სებასტიის სახელობის სკოლათა გაერთიანების მოსწავლეთა ერთობლივი გამოფენა და შემოქმედებითი საღამო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნახატები და ხელნაკეთი ნივთები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 6-17 წლის ასაკის მოსწავლეები. სომხური მხარის თხოვნით, საღამოს დაესწრო ქართველი პოეტი ტარიელ ხარხელაური. მწერლის ლექსები ბავშვებმა ქართულ და სომხურ ენებზე წაიკითხეს.

ამავე ცენტრში შედგა საქველმოქმედო საღამო „გახდი გმირი ჯაბასთვის“.

– 22 წლის ჯაბა მეგობრებთან ერთად ავტოკატასტროფაში მოყვა. დღეს ის მძიმე მდგომარეობაშია. მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად სასწრაფო ოპერაციაა საჭირო. ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ანსამბლებმა „მთიელი“, „გორულა“, „ქალდეა“, დებმა წიკლაურებმა, მირანდა მაისურაძემ, დეკამ, ნაყეურებმა. ასევე პოეტებმა გელა დაიაურმა, ოთო გურგენიშვილმა, გიორგი არაბულმა, ზაზა მუხიგულაშვილმა, გიორგი ხმიადაშვილმა, ავთო ბერძენიშვილმა, თეო ხიხალაშვილმა, თინიკო ჯავახიშვილმა, თათია მგელაძემ, ანი ჭინჭარაულმა და სხვებმა, – განაცხადა ნათია გოგუაძემ.


## განცხადებები

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქართული ფლორის მცენარეებითა და აპითერაპიის პროდუქტებით უოპერაციოდ ვმკურნალობთ მასტოპათიას, საკვერცხის კისტას, მიომას, ბუასილს, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულს, კვანძოვან ჩიყვს, ნაღვლის ბუშტსა და თირკმლის კენჭოვან დაავადებებს, ნევროზს, კოლიტს, დისბაქტერიოზს, დიაბეტს, ეპილეფსიას, ენურეზს. ტელ: 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● მთლიანი ორგანიზმის ფუნქციონალური დიაგნოსტიკა, დგინდება ორგანიზმში პათოლოგიური პროცესების არსებობა, ასევე სიმსივნის ადრეული სტადიები, შემდეგ ინიშნება მკურნალობა მცენარეული პრეპარატებითა და ფუტკრის პროდუქტებით. 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## სამინისტრო კალათბურთის ფედერაციას პასუხობს

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გამოაქვეყნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ფედერაციაში გაგზავნილი წერილი, რომელიც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მესვეურებმა ფედერაციის საქმიანობაში ჩარევად შეაფასეს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია ხელი შეუწყოს ქართულ საკალათბურთო სამყაროში არსებული დაძაბულობის განმუხტვას. ვინაიდან შექმნილი დაძაბულობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად აღნიშნული ფედერაციის წესდება დასახელდა, სამინისტრომ წერილით მიმართა კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას და შესთავაზა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც აქტიურად იმუშავებდა წესდების დახვეწაზე. სამუშაო ჯგუფის მიუკერძოებლობის გარანტად სამინისტრომ ეროვნულ ფედერაციას კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან ექსპერტის მოწვევა და სამუშაო ჯგუფში ქართული საკალათბურთო სამყაროდან ავტორიტეტული პირების ჩართვა შესთავაზა.

სამინისტროს ფუნქციებიდან და მოვალეობებიდან გამომდინარე, ეს შეთავაზება შეუძლებელია შეფასდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობაში ჩარევად.

სამინისტროს მთავარი მოვალეობა სპორტის სახეობების, მათ შორის კალათბურთის განვითარების მხარდაჭერაა, რისი ნათელი დადასტურებაც სამინისტროს მიერ დაფინანსებული არაერთი პროექტი და ღონისძიებაა.

სამწუხაროა, რომ სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც პრობლემის მოგვარებისკენ იყო მიმართული, ადეკვატურად არ იქნა აღქმული.

## სტუმრად შოტლანდიაში, შინ — სლოვაკეთთან

14 და 18 ნოემბერს, საქართველოს 21-წლამდე ნაკრები უეფას 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩებს გამართავს. 14 ნოემბერს, ჩვენი ნაკრები შოტლანდიასთან, სტუმრად ითამაშებს. 18 ნოემბერს კი, გორში, „თენგიზ ბურჯანაძის“ სახელობის სტადიონზე სლოვაკებს ვუმასპინძლებთ.

მოახლოებული ორი თამაშისთვის, ნაკრების თავკაცმა — ალექსანდრე ჩივაძემ ჯამში 24 ფეხბურთელს უხმო. ამათგან, 18 ფეხბურთელი შოტლანდიაში გაემგზავრება; რამდენიმე მათგანი კი, გუნდს საქართველოში, სლოვაკეთთან თამაშის წინ შეუერთდება.

მეკარეები: გიორგი ნადირაძე („სპარტაკი“, ცხინვალი), კახა მეშველიანი („ზესტაფონი“), გაბრიელ თებიძე („ლოკომოტივი“, თბილისი)

მცველები: არჩილ ტვილდიანი („სიონი“, ბოლნისი), მამუკა კობახიძე („დილა“, გორი), სოლომონ კვერკველია („რუბინი“ ყაზანი, რუსეთი), თედო გრიგალაშვილი („ზესტაფონი“), დავით უბილავა („ტორპედო“, ქუთაისი), ნიკა კვეკვესკირი („სპარტაკი“, ცხინვალი)

ნახევარმცველები: ნიკა ძალამიძე („იაგელონია“, პოლონეთი), გიორგი პაპავა („დინამო“ თბილისი), ლაშა პარუნაშვილი („სიონი“, ბოლნისი), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი“, ჰოლანდია), მერაბ გიგაური („ტორპედო“, ქუთაისი), ჯამბულ ჯიღაური, ბესიკ დეკანოიძე (ორივე „ჩიხურა“, საჩხერე), დავით კირკიტაძე („მეტალურგი“, რუსთავი), ჯანო ანანიძე („როსტოვი“, რუსეთი)

თავდამსხმელები: დავით სხირტლაძე („ორჰუსი“, დანია), გიორგი ჭანტურია („ვიტესი“, ჰოლანდია), გიორგი ფანცულაია („ტორპედო“, ქუთაისი), გიორგი ქვილითაია („დილა“, გორი), ლაშა ჩაფიძე („სპარტაკი“, ცხინვალი), გიორგი ილურიძე („ჰაიდუკ სპლიტი“, ხორვატია)

ახალგაზრდული ნაკრები შოტლანდიაში 11 ნოემბერს გაემგზავრება. პირდაპირ ადგილზე ჩავლენ ჩვენი ლეგიონერები. მატჩი კი, გლაზგოსთან ახლომდებარე პატარა ქალაქ პეისლიში, სტადიონ „შაინტ ირრენ არკ“ — ზე გაიმართება.

## ფუტსალის ასოციაციის წერილი უეფას აღმასკომს

საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრებმა უეფას აღმასკომს საქართველოს ფუტსალის ასოციაციაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ წერილით მიმართა. გთავაზობთ აღნიშნული წერილის ქართულ ვერსიას, რომელიც გამგეობის წევრებმა გაავრცელეს.

ძვირფასო ბატონებო,

გვსურს მოგახსენოთ იმ უმძიმესი მდგომარეობის შესახებ, რაც არსებობს საქართველოს ფუტსალის ასოციაციაში (სფა), რომელიც თავის მხრივ არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) წევრი. მით უმეტეს, უშუალოდ თქვენი გადაწყვეტილებით წელს სწორედ საქართველომ უმასპინძლა უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალს.

სფა-ს წესდება არ შეესაბამება ზემდგომი ორგანოს — სფფ-ს წესდებას, რაც აღიარებულია სფფ-ის მიერ, მაგრამ სფა-ს პრეზიდენტი ლევან ცქიტიშვილი უარს ამბობს წესდების შესაბამისობაში მოყვანაზე;

სფა-ს პრეზიდენტი წელიწადნახევარია უარს ამბობს გამგეობის სხდომების ჩატარებაზე;

სფა-ს პრეზიდენტი უარს ამბობს ყოველწლიური ყრილობების ჩატარებაზე;

სფა-ს პრეზიდენტი არ გამოცხადდა სფა-ს წევრთა მიერ მოწვეულ საგანგებო ყრილობაზე და გამოაცხადა, რომ არ ცნობს სფა-ს წევრებს;

სფა-ს პრეზიდენტი ერთპიროვნულად განკარგავს ორგანიზაციის ფინანსებს და უარს ამბობს ფინანსების განკარგვის საკითხი შეათანხმოს გამგეობასთან, რისი ვალდებულებაც კანონით მას აქვს;

სფა-ს პრეზიდენტმა გაასაიდუმლოვა ორგანიზაციის ბიუჯეტი და უარს ეუბნება გამგეობის წევრებს, გააცნოს ორგანიზაციის ბიუჯეტი;

სფა-ს პრეზიდენტი უარს ეუბნება სფფ-ს წარუდგინოს ანგარიში იმ თანხების ხარჯზე, რაც მას მიღებული აქვს სფფ-დან;

სფა-ს პრეზიდენტმა, ვიცე-პრეზიდენტმა და აღმასრულებელი კომიტეტის ერთმა წევრმა დააფუძნეს სფა-ს ალტერნატიული ორგანიზაცია და ცდილობენ ალტერნატიული ორგანიზაციის სასარგებლოდ მოახდინონ სფფ-ს მიერ აღიარებული სფა-ს დისკრედიტაცია.

სამწუხაროდ, სფფ არ ახდენს სათანადო რეაგირებას მისივე სუბიექტის უკანონო ქმედებებზე. გთხოვთ, მოსთხოვოთ სფფ-ს შეასრულოს მისი და უეფას წესდებებით და რეგულაციებით ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებული ვალდებულებები.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ჩელსი-შალკე ................................ 3:0
ბაზელი-სტიაუა ................................ 1:1
დორტმუნდი-არსენალი ................. 0:1
ნაპოლი-მარსელი ......................... 3:2
ატლეტიკო-აუსტრია ..................... 4:0
ზენიტი-პორტუ ............................. 1:1
ბარსელონა-მილანი ..................... 3:1
აიაქსი-სელტიკი ........................... 1:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ინდიანა-ჩიკაგო .......................... 97:80
ორლანდო-კლიპერსი ................ 98:90
ფილადელფია-ვაშინგტონი ... 102:116
შარლოტი-ტორონტო ................ 92:90
ბოსტონი-იუტა ........................... 97:87
მემფისი-ნიუ ორლეანი ............... 84:99
მილუოკი-კლივლენდი ............ 109:104
ზაზა ფაჩულია: 14 .ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი
მინესოტა-გოლდენ სტეიტი ..... 93:106
სან ანტონიო-ფინიქსი ................ 99:96
ოკლაჰომა-დალასი .................. 107:93

**ჩოგბურთი**

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

ნადალი-ვავრინკა ................... 7:6;7:6
ფერერი-ბერდიხი ...................... 4:6;4:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

რეინჯერსი-პიტსბურგი ................ 5:1
ჩიკაგო-ვინიპეგი ........................... 4:1
კოლორადო-ნეშვილი .................... 4:6
ანაჰაიმი-ფინიქსი .......................... 5:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბარსელონა და ატელიკო პლეი ოფში იოლად გავიდნენ

### ე ჯგუფი

**ჩელსი-შალკე 3:0**

1:0 ეტოო (31), 2:0 ეტოო (54), 3:0 ბა (83)

**ჩელსი**: ჩეხი, ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ასპილიკუეტა, რამირესი, მიკელი, ოსკარი (ლემპარდი 81), ვილიანი, ეტოო (ბა 77), შიურლე (დე ბრუინე 78)

**შალკე**: ჰილდებრანდი, უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, აოგო, ჯონსი, ნოიშტადტერი, დრაქსლერი (კლემენსი 62), ბოატენგი (კოლასინაცი 77), ფუხსი (მაიერი 67), ზალაი

იენს კელერის შეგირდები ძალიან აქტიურად უტევდნენ მასპინძელთა კარს და რამდენიმე სახიფათო დარტყმაც განახორციელეს, თუმცა არაზუსტი.

საწყისი მოულოდნელი 10 წუთის შემდეგ, ნელ-ნელა უპირატესობამ უკვე „ჩელსისკენ“ დაიწყო გადანაცვლება და ტიმო ჰილდებრანდსაც მოუწია თამაშში ჩართვა, როდესაც შიურლეს ჯარიმა მოიგერია.



თუმცა ტაიმის ჰილდებრანდმა აჩუქა სწორედ ეტოოს და „ჩელსის“ გოლი: დიდ ხანს გაწელა ტიმომ ბურთის თამაშში შეყვანა, მერე კი კამერუნელს გაარტყა და ბურთი ბადეშია!

მეორე ტაიმის დასაწყისში ეტოომ დუბლი გაიფორმა, მოგვიანებით კი, დემბა ბამ ბრწყინვალე კომბინაციის შედეგად 3:0 დააფიქსირა ტაბლოზე.

**ბაზელი-სტიაუა 1:1**

0:1 პიოვაჩარი (17), 1:1 სიო (90)

**ბაზელი**: სომერი, ვოსერი, შარი, ივანოვი, ქსაკა, დიე, ფრაი (დიასი 78), სალაჰი (დეგენი 84), დელგადო (სიო 66), შტოკერი, შტრელერი

**სტიაუა**: ტატარუშანუ, გეორგიევსკი, სზუკალა, გარდოში, ლატოვლევიცი, ბურჩეანუ, პინტილი (ფილიპი 46), პოპა, სტანჩიუ (ჩიფჩიუ 62), ტანასე, პიოვაჩარი (კაპეტანოსი 76)

„ბაზელი“ მთელი თამაში აგებდა საკუთარ კედლებში „სტიაუასთან“, მაგრამ ჯოვანი სიომ ბოლოსკენ გაიტანა და ქულა გადაურჩინა შვეიცარიელებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 |
| 2.შალკე | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| 3.ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| 4.სტიაუა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |

### ფ ჯგუფი

**დორტმუნდი-არსენალი 0:1**

0:1 რემზი (62)

**დორტმუნდი**: ვაიდენფელერი, გროსკროიტცი, პაპასტატოპულოსი, სუბოტიჩი, შმელცერი, შაჰინი, ბენდერი (ჰოფმანი 75), კუბა (ობამეიანგი 74), მხითარიანი, როისი (შიბერი 87), ლევანდოვსკი

**არსენალი:** სჩესნი, სანია, მერტეზაკერი, კოსილნი, გიბსი, რემზი, არტეტა, კასორლა (მონრეალი 75), იოზილი, როსიცკი (ვერმალენი 90), ჟირუ (ბენდტნერი 90)

„არსენალმა“ ზედიზედ მესამედ გააკეთა საინტერესო რამ: საკუთარ მოედანზე გერმანულ კლუბთან დამარცხების შემდეგ, ადგა და ასევე სტუმრად ამჯერად, თავად მოუგო მეტოქეს.

აქამდე „მეთოფეებს“ შინ „შალკესთან“ და „ბაიერნთან“ ჰქონდათ წაგებული, ორი კვირის წინ კი „დორტმუნდთანაც“ წააგეს, მაგრამ სამივე შემთხვევაში იგივე რამ განმეორდა.

არადა, მთელი შეხვედრა იურგენ კლოპის გუნდი ფლობდა უდავო უპირატესობას და უამრავი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ.

**ნაპოლი-მარსელი 3:2**

0:1 ა. აიუ (10), 1:1 ინლერი (22), 2:1 იგუაინი (24), 2:2 ტოვინი (64), 3:2 იგუაინი (75)

**ნეაპოლი**: რეინა, მაჯო, ალბიოლი, ფერნანდესი, არმერო, ჯემაილი (ბეჰრამი 90), ინლერი, კალიეხონი, პანდევი (ჰამშიკი 66), მერტენსი (ინსინიე 83), იგუაინი

**მარსელი**: მანდანდა, აბდალა, ნკულუ, დიავარა, მორელი, რომაო (ლემინა 83), შეირუ, ტოვინი, ვალბუენა (პაიე 57), ა.აიუ, ჯ.აიუ (ჟინიაკი 67)

„ნაპოლისა“ და „მარსელის“ შეხვედრა კი უხვგოლიანი გამოდგა, რომელიც საბოლოოდ, მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა.

ამრიგად, ამ ჯგუფში სიტუაცია ძალიან დაძაბულია და თუ შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს სურს ჯგუფიდან გაღწევა, დარჩენილი ორივე შეხვედრა — შინ „ნაპოლისთან“ და გასვლაზე „მარსელთან“ აუცილებლად უნდა მოიგოს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| 2.ნაპოლი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 9 |
| 3.დორტმუნდი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 4.მარსელი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:10 | 0 |

### ჯ ჯგუფი

**ატლეტიკო-აუსტრია 4:0**

1:0 მირანდა (11), 2:0 გარსია (25), 3:0 ფილიპე (45), 4:0 კოსტა (82)

**75-ე წუთზე, კოსტამ ვერ გამოიყენა პენალტი**

**ატლეტიკო**: კურტუა, ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე, ადრიანი (ტორესი 46), ტიაგო (გილავოგი 56), გაბი, კოკე (როდრიგესი 66), კოსტა, გარსია

**აუსტრია**: ლინდნერი, კოხი, რამზებნერი, ორტლეხნერი, ლეოვაცი, ჰოლანდი, როიერი, მადერი (დილავერი 68), სიმკოვიჩი (ჰოზინერი 53), მურგი (სუტნერი 52), კიენასტი

ესპანურმა კლუბმა კვლავ გაილაღა და 4-იდან 4 მოგება აქვს. „ატლეტიკოს“ მეტიც შეეძლო, მაგრამ კოსტამ პენალტი ვერ გამოიყენა, მაგრა, თავისი გოლის გატანა მაინც მოახერხა. „ატლეტიკო“ პლეი ოფში იოლად და დამსახურებულად გავიდა.

**ზენიტი-პორტუ 1:1**

0:1 გონსალესი (23), 1:1 ჰალკი (28)

**51-ე წუთზე, ჰალკმა ვერ გამოიყენა პენალტი**

**ზენიტი**: ლოდიგინი, ანსალდი, ჰუბოკანი, ლომბაერტსი, კრიშიტო, შიროკოვი (არშავინი 67), ვიტსელი (ზირიანოვი 81), ფაიზულინი, შატოვი, დანი (კერჟაკოვი 28), ჰალკი

**პორტუ**: ჰელტონი, დანილო, ოტამენდი, მანგალა, ალექს სანდრო, ფერნანდო, გონსალესი (გილასი 86), დეფური, ჟოსუე (ლიკა 76), მარტინესი, ვარელა

ჰალკმა თავის ყოფილ კლუბს კი გაუტანა გოლი, მაგრამ მერე დაინდო კიდეც, რადგან თერთმეტმეტრიანი გააფუჭა, შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. ორივე გუნდი ჯერ ერთმანეთს პლეი ოფის მეორე საგზურებისთვის ახლა სხვებთან მატჩებში შეეცილება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 12 |
| 2.ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| 3.პორტუ | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| 4.აუსტრია | 4 | 0 | 1 | 3 | 0:8 | 1 |

### ჰ ჯგუფი

**აიაქსი-სელტიკი 1:0**

1:0 შონე (51)

**აიაქსი**: სილესენი, ვან რეინი, ველტმანი, დენსვილი, ბოილესენი, ბლინდი, კლაასენი (პოულსენი 83), სერერო (ფიშერი 72), შონე, დე იონგი, სიგთორსონი (ვან დერ ჰოორნი 90)

**სელტიკი**: ფორსტერი, ლუსტიგი, ემბროუზი, ვან დეიკი, მალგრიუ, სტოკსი (ბოერიგტერი 73), კომონსი (პუკი 81), კაიალი (ლედლი 77), იზაგირე, ფორესტი, სამარასი

ჰოლანდიელები მეტოქეს მთელი მატჩის განმავლობაში სჯობდნენ და იმსახურებდნენ კიდეც მოგებას. გოლიც ჩინებული გამოუვიდათ — შონემ ლამაზი კომბინაციის შემდეგ გაიტანა. მართალია, ორივე გუნდი პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს, მაგრამ ურთიერთობის გარკვევა „მილანთან“ მოუწევთ, ამიტომ, სავარაუდოდ, უფრო ევროპის ლიგისკენ მოუწევთ გახედვა.

**ბარსელონა-მილანი 3:1**

1:0 მესი (30პ), 2:0 ბუსკეტსი (40), 2:1 პიკე (45სკ), 3:1 მესი (83)

**ბარსელონა**: ვალდესი, ალვესი, პიკე, მასკერანო, ადრიანო, ბუსკეტსი, ჩავი (სონგი 88), ინიესტა (ფაბრეგასი 78), სანჩესი, მესი, ნეიმარი (პედრო 85)

**მილანი**: აბიატი, აბატე, საპატა, მექსე, ემანუელსონი, მუნტარი, მონტოლივო, დე იონგი, პოლი (ბირსა 74), კაკა (მატრი 84), რობინიო (ბალოტელი 46)

ტურის კიდევ ერთი ცენტრალური შეხვედრა „ნოუ კამპზე“ შედგა, სადაც „ბარსელონა“ უდავო უპირატესობას ფლობდა „მილანთან“ და დაამარცხა კიდეც უცუდეს ფორმაში მყოფი „როსონერი“.

ოთხივე გოლი კატალონიელებმა გაიტანეს — პიკემ ეს საკუთარ კარში მოახერხა, თუმცა „ბარსელონამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 3:1 და პლეი ოფის საგზური დაიბევა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| 2.მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| 3.აიაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| 4.სელტიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |

# გია ბუღაძემ შინდისის გმირები დახატა

*ეკა ირემაშვილი*

მხატვარმა გია ბუღაძემ შინდისის გმირები დახატა და სპეციალური გამოფენა გალერეა „ვანდაში“ მოაწყო. მხატვრის პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა ნამუშევრების სერია, რომელიც ომში დაღუპულ ჯარისკაცებს მიეძღვნა.

ნახატების შექმნის იდეა მას 2008 წლის ომის შინდისის გმირებმა „მიაწოდეს“. გამოფენაზე მხატვარმა სულ 16 ნახატი გამოფინა, რომელთა შესაქმნელად მან შერეული ტექნიკა გამოიყენა.

შინდისის გმირები აქტუალური თემაა არა მარტო გია ბუღაძისთვის, არამედ რუსთაველის თეატრის მსახიობ ედმონდ მინაშვილისთვისაც. მან გადაწყვიტა შინდისის გმირებზე ფილმი გადაეღო და ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიასაც შეხვდა. სწორედ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „შინდისის გმირების“ გადაღებაა.

მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „შინდისის გმირები“ ასახავს გორის რაიონის სოფელ შინდისში მომხდარ 17 ჯარისკაცის გმირობის ისტორიას, რომლებიც 11 აგვისტოს მოვალეობის შესრულების შემდეგ დისლოკაციის ადგილზე ბრუნდებოდნენ. რუსეთის არმიასთან ბრძოლაში ჩვიდმეტივე ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა. მათ ერთი საათის განმავლობაში ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის ბატალიონს და სხვა ქართველი ჯარისკაცების გადარჩენა შეძლეს. ფილმის შემოქმედებით ჯგუფს შორის არიან დამდგმელი რეჟისორები ედმონდ მინაშვილი და ზურა პოპიაშვილი; ფილმის კონსულტანტი რეზო ჩხეიძე; სცენარის ავტორი ირაკლი სოლომანაშვილი; მუსიკა პირველი ნაწილი გია ყანჩელი, მეორე ნაწილი ნიაზ დიასამიძე.

რაც შეეხება გია ბუღაძის ნამუშევრებს, მხატვარს ამ თემასთან დაკავშირებით ასეთი პოზიცია აქვს.

**გია ბუღაძე:**

— ეს ნამუშევრები სპეციალურად ამ ბიჭებს და კონკრეტულად მათ საქციელს მიეძღვნა. ძირითადი მაიმპულსირებელი თემა, რომელმაც მომცა სტიმული, რა თქმა უნდა იყო ეს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თბილისი აფხაზეთისა და ცხინვალის არაღიარების გამო მადლობას იხდის

ნათია ხურცილავა

**ქართულმა მხარემ ევროსაბჭოს რუსეთის ქმედებების შესაჩერებლად ქმედითი ნაბიჯების დროულად გადადგმისკენ მოუწოდა. სხდომაზე ქართულმა დელეგაციამ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისაუბრა და ევროპას ამ მიმართულებით კიდევ ერთხელ სთხოვა ყურადღების გამახვილება.**

ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1183-ე სხდომაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტორბიორნ იაგლანდის მე-8 კონსოლიდირებული ანგარიში – „კონფლიქტი საქართველოში" განიხილეს.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მე-8 კონსოლიდირებული ანგარიშის ირგვლივ გამართულ დებატებზე ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა აღნიშნული ანგარიში დადებითად შეაფასეს და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული მოხსენების წარდგენის პრაქტიკის მომავალში გაგრძელებას მხარი დაუჭირეს. ტორბიორნ იაგლანდის ანგარიშების ეფექტიანობა გამომსვლელთაგან ეჭვქვეშ მხოლოდ რუსეთის ფედერაციამ დააყენა.

სხდომაზე ქართულმა დელეგაციამ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსი სამხედროების უკანონო ქმედებებზე გაამახვილა ყურადღება. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მოუწოდა, დროულად გადადგან ქმედითი ნაბიჯები რუსეთის ფედერაციის უკანონო ქმედებების შესაჩერებლად. საქართველოს დელეგაციამ კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები მხარს უჭერენ ტორბიორნ იაგლანდის მოხსენების – „კონფლიქტი საქართველოში" წარდგენის პრაქტიკის მომავალშიც გაგრძელებას.

საქართველოს დელეგაციამ მადლობა გადაუხადა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ ეფექტიანად წარმოებული არაღიარების პოლიტიკის გამო. სხდომაზე ევროკავშირის სახელით გაკეთდა განცხადება, რომელშიც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მტკიცე მხარდაჭერა გამოხატეს.

ევროკავშირმა რუსეთის ფედერაციას მოუწოდა, საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის, 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმება შეასრულოს, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლა უზრუნველყოს, საქართველოს მიმართ ძალის არგამოყენების ვალდებულება აიღოს და ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში კონსტრუქციული როლი შეასრულოს

როგორც ცნობილია, 2013 წლის 6 ნოემბერს, ანგარიში მოიცავს 2013 წლის აპრილი-სექტემბრის პერიოდს.

ამასთან, ევროკავშირმა აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონში სამხრეთ ოსეთში, საქართველო ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გამო, ასევე ოკუპაციის ხაზების გასწვრივ მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობას ხაზი გაუსვა. ევროკავშირის აღნიშნულ განცხადებას აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებიდან მოლდოვას დელეგაცია შეუერთდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს რწმენას, რომ საკითხი – „კონფლიქტი საქართველოში" ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დღის წესრიგში მომავალშიც შენარჩუნდება.

რაც შეეხება ჟენევის 25-ე რაუნდს, ქართული დელეგაციის წევრები გამართულ შეხვედრას აფასებენ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძემ ჟენევის დისკუსიების 25-ე რაუნდის დასრულების შემდეგ თანათავმჯდომარეების ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მოლაპარაკებების შედეგები შეაჯამა.

– მინდა, თქვენი ყურადღება საინფორმაციო სესიას მივაპყრო, სადაც თავისუფლად გადაადგილების შესახებ პრაგმატული მიდგომა განვიხილეთ. ამავდროულად, ყურადღება გავამახვილეთ ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მავთულხლართებთან მიმართებით. რუსეთის ძალების მიერ საოკუპაციო ხაზთან ბარიერებია აღმართული. აღვნიშნეთ, რომ ჩვენ და რუსეთს გვაქვს პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, მათ შორის კონფლიქტის ზონაში, გადაადგილების შეზღუდვა კი იწვევს ადამიანის უფლებების სხვა დარღვევებს, მაგალითად, საკუთრების უფლების, ჰუმანიტარულ და სამედიცინო წვდომის პრობლემებს. საოკუპაციო ხაზთან ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით ჩვენ მოვიწვიეთ ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისიის ტექნიკური მისია, – განაცხადა ლორთქიფანიძემ და დასძინა, რომ მთლიანობაში დისკუსიებით კმაყოფილია.

ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ჟენევის ფორმატის ფარგლებში ყველა საჭირბოროტო საკითხი დაისვა.

– საბოლოო ჯამში, ჩვენ ვდგამთ მზარდ ნაბიჯებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების კუთხით, რაზეც მანამდე დისკუსია შეუძლებელი იყო, – აღნიშნავს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

თავისუფალი გადაადგილება, ადგილზე უსაფრთხოების სიტუაცია. ვფიქრობ, რომ იყო ძალიან სერიოზული დისკუსია. ჩვენ მოვახერხეთ ყველა ჩვენი სატკივრის, ყველა პრობლემის თანათავმჯდომარეებამდე მიტანა, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

# გია ბუღაძემ შინდისის გმირები დახატა

დასაწყისი მე-9 გვერდზე



თემა. რომ გავიგე ეს ამბავი, ბუნებრივია ავიჭერი, დავფიქრდი, ბევრი ვიფიქრე, რასთან მქონდა შეხება, მინდოდა მენახა ის ადგილი. ეს წარმოუდგენლად დიდი ამბავია. წავედი და ის ადგილი რომ ვნახე, ჩემი შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაათმაგდა, იმიტომ, რომ ადგილი არის არაჩვეულებრივად მძიმე და ტრაგიკული, იქ რკინიგზა გადის, იქ პატარა სადგურივით არის, პლატფორმაა. იქვე გავაკეთე პატარა ჩანახატები, ეტიუდები. მერე უკვე თემა განაზოგადა. როცა იწყებ პატარა დეტალით, თუ სერიოზულად ფიქრობ, მერე განზოგადდება ხოლმე. მერე უკვე დავიწყე მსხვერპლზე ფიქრი რას ნიშნავს შეგნებული მსხვერპლი, შეუგნებელი მსხვერპლი, რას ნიშნავს ღირსებისათვის გაიღო საკუთარი სიცოცხლე და ამის შედეგად დაიბადა ეს სერია, რომელიც შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან, ღირსებისთვის მსხვერპლი, რომელიც ეძღვნება ამ ბიჭებს, კონკრეტულად ღირსებისათვის და პატრიოტიზმისათვის, მსხვერპლი იდეალებისთვის, რომელიც ეძღვნება ისევ ამ ბიჭებს და არის ბრმა მსხვერპლი, რომელიც ზოგადად განიხილავს მსხვერპლს, როგორც მძიმე მოვლენას, თუმცა ძირითადი თემა და იდეა ეძღვნებათ შინდისის გმირებს.

***– რატომ მოგინდათ ასეთ რთულ თემაზე მუშაობა?***

– იცით აქ როგორ არის? მაშინ თქვენ უკვე არამხატვრის პოზიციიდან მელაპარაკებით. მყავს ერთი ახლობელი, ჩემი კურსელია, უნიჭო კაცი არ არის, ხელი ემორჩილებოდა და სულ ვეუბნებოდი, ხატე-მეთქი. კაცო, ისე მძიმე ცხოვრებაა, რა უნდა ვხატოო. როცა ბიზნესში ჩაჯდა და ფული იშოვა, დროც ჰქონდა, მაშინაც ვუთხარი, ხატე ბიჭო-მეთქი და ისე კარგად ვარ, გრიალის დრო მომივიდა და რატომ უნდა ვხატოო. როცა რაღაც აღგაშფოთებს, რაღაცნაირად ხომ უნდა გამოხატო? ან ტირი, ან ყვირი, ან ვიღაცას უყვები, ან ეკლესიაში მიდიხარ. ასეთ დროს მე გადავდივარ ხატვაზე და ვასრულებ ნამუშევრებს ან ქაღალდზე ან ტილოზე.

***– ზოგადად გიყვართ ნამუშევართა სერიების შექმნა ერთ თემაზე?***

– შეიძლება ერთი სურათი გაკეთდეს და მან თქვას თავისი სათქმელი და ყველაფერს მოეყაროს თავი. ამ შემთხვევაში მსხვერპლია განხილული სხვადასხვა კუთხით. ეს იგივეა ფაქტი რომ განიხილო სხვადასხვა კუთხით.

პარალელურად სხვა რაღაცებზეც ვმუშაობდი, გავაკეთეთ წიგნი „ქართლის ცხოვრება" ბავშვებისთვის, საკმაოდ ბევრი ვიმუშავე, 70 ილუსტრაციაა, უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა. რეალურად საკმაოდ საინტერესო პროცესია, ამის პარალელურად კეთდებოდა შინდისის გმირების თემაც.

***– რა სიხშირით გამოფენთ ხოლმე ნამუშევრებს?***

– საერთოდ, მგონია, რომ ეს ჩემი სამყაროა. კიდევ ვერ გავიგე რატომ ვაწყობ გამოფენებს და რატომ ვიქცევი ასე. სულ ვეუბნები ჩემს თავს, დაანებე ყველას თავი და აკეთე ეს საქმე მარტო შენთვის-მეთქი. აქედან არანაირი შემოსავალი არ მაქვს, გაყიდვას არ ვფიქრობ, არც არავინ მაგის მყიდველი არ არის საქართველოში, ჩვენთან ზოგადად დეფიციტია ურთიერთმოსმენის და ურთიერთგაგების, ამიტომ ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე, დაანებე თავი, მაინც ვერ გაიგებენ-მეთქი, მაგრამ ბოლო წუთებში გადაწყვეტილებას შევცვლი ხოლმე. ამ გამოფენაზე არც არავინ დამიპატიჟია და არც არავისთვის მითქვამს. ჩემს გამოფენაზე ბევრი სტუდენტები იყვნენ.

***– ამ ბოლო დროს მხოლოდ ხატავთ თუ სამხატვრო აკადემიაშიც მუშაობთ?***

– სამხატვრო აკადემიაში აღარ ვარ. იქ რომ დავასრულე რექტორობა, პროფესორობაც მოვიხსენი.

***– რატომ?***

– ჩავთვალე, რომ სადაც პირველი ვიყავი, იქ რიგითი არ უნდა ვიყო. მიმაჩნია, რომ როცა ადამიანი თავის ვადას გაივლის და დაასრულებს რაღაც ეტაპებს თანამდებობაზე, მას თავი უნდა დაანებოს. მაგალითად, არ შეიძლება ცოლს გაშორდე და მერე იქ მოეწყო კარის კაცად ან დამლაგებლად.

***– ხომ შეგეძლოთ სამხატვრო აკადემიაში მომავალი თაობები გაგეზარდათ?***

– ახალგაზრდებთან ახლაც ვმუშაობ და ძალიან კმაყოფილი ვარ. უნივერსიტეტში ჟურნალისტებთან ვკითხულობ ხელოვნების აღქმის თეორიას, ილიაუნის სრული პროფესორი ვარ, თეატრალურშიც ვკითხულობ რეჟისორებთან და ოპერატორებთან, ასე რომ ახალგაზრდებთან აქტიური და ხშირი ურთიერთობა მაქვს. შემიძლია იგივე წარმატებით დავიწყო მუშაობა ზოოვეტერინარულში, შემიძლია იქაც წავიკითხო თუ ხელოვნებაში ცხოველი როგორ აისახება, თუ ინტერესი იქნება, შემიძლია ლექციები წავიკითხო სპორტსმენებთან. ჩემთვისაც საინტერესოა ლექციების პროცესი, მისი მომზადების დროს, თვითონაც ბევრ რამეს ვსწავლობ. ლექციას ვკითხულობ და ვემზადები როგორც თეორეტიკოსი, ზოგი საერთოდ არ ფიქრობს ლექციაზე რას იტყვის, ჩემს შემთხვევაში ასე არ არის. მგონია, რომ ეს არ არის ცუდი, თან მთავარია, ბავშვები დადიან, თუმცა მათი ასარჩევია, შეუძლიათ საერთოდ არ მოვიდნენ, მაგრამ მაინც მირჩევნია, რომ მოვიდნენ და ტყუილად არ ვილაპარაკო და მხოლოდ ერთ ადამიანს არ ველაპარაკო, თუმცა ჩემთვის, ის ერთი ადამიანიც ძალიან მნიშვნელოვანია.

# ეროვნული არქივი იტალიაში მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი და მისი თანამშრომლები იტალიაში მიიწვიეს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ იტალიის ქალაქ პიზაში გამართულ სამუშაო შეხვედრაში „კარტოგრაფია და საკადასტრო რუკები".

როგორც ეროვნული არქივის წარმომადგენელი სოფიო ჯობავა განმარტავს, სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის კულტურული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და მისი ორგანიზატორები არიან პიზას „ნორმალე" უნივერსიტეტი, ბუდაპეშტის ქალაქისა და მალტის ეროვნული არქივები.

– ამ სემინარის ძირითადი თემებია ისტორია და საკადასტრო აზომვის კარტოგრაფიული ანალიზი; საკადასტრო რუკები არქივში; დიდი ზომის ისტორიული რუკების დიგიტალიზაცია და ონლაინ პუბლიკაციები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, – ამბობს სოფიო ჯობავა.

მისივე თქმით, საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენლები წარდგებიან მოხსენებით „რუკების დიგიტალიზაცია და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა საქართველოს ეროვნულ არქივში".

– აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ეროვნულმა არქივმა დაიწყო მუშაობა პროექტზე „ელექტრონული კარტოგრაფია", რაც ითვალისწინებს ეროვნულ არქივში დაცული რუკების ციფრული ვერსიების შექმნას, მათ აღწერას და მონაცემთა ბაზაში განთავსებას. ამ ეტაპზე 1000-მდე რუკის ციფრული ასლია შექმნილი, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ელექტრონული კატალოგის პრეზენტაცია გასულ კვირას გაიმართა. პრეზენტაციას იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჯანდიერი და ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი დაესწრნენ.

**დავით ჯანდიერის განცხადებით:**

– ელექტრონული კატალოგის შექმნა გაუმარტივებს ეროვნული არქივის თანამშრომლებს საჭირო ინფორმაციისა თუ დოკუმენტის მოძიებას, შესაბამისად, მოქალაქეთა მომსახურება უფრო სწრაფად და კომფორტულად მოხდება. გარდა ამისა, კატალოგის გამოყენება დაიცავს დედან დოკუმენტებს ხშირი გამოყენებისგან.

**თეონა იაშვილის ინფორმაციით:**

– კატალოგში განთავსდება ფონდების, ანაწერებისა და საქმეების ანოტაციები, აგრეთვე, დოკუმენტების ციფრული ასლები. ანოტაციები შედგენილია 3 საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. ამ ეტაპზე პროგრამაში განთავსებულია 20.000-მდე საქმის ანოტაცია და დოკუმენტების 34.000 გვერდის ციფრული ასლი. გარდა ამისა, უკვე დასკანერებულია 1 მილიონამდე გვერდი, რომელთა ატვირთვა კატალოგში ეტაპობრივად მიმდინარეობს.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, კატალოგს გააჩნია ძებნის მოქნილი მექანიზმი, რაც გულისხმობს ძებნას ფონდის, ანაწერის ან საქმის ნომრის მიხედვით:

– ძებნა, ასევე, შესაძლებელია საკვანძო სიტყვების, ფიზიკური ან იურიდიული პირების, თემატური ან გეოგრაფიული საძიებლის გამოყენებით, – აღნიშნა სოფიო ჯობავამ.

საქართველოს ეროვნული არქივისა და „მეღვინეობა ხარებას" ორგანიზებით ყვარელში, „მეღვინეობა ხარებას" ტურისტულ კომპლექსში „გვირაბი" გაიხსნა ფოტოგამოფენა „ღვინობისთვე".

ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის თეონა იაშვილის ინფორმაციით:

– ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის ამსახველი ფოტომასალა. მათ შორის საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XIX-XX საუკუნეებში დიმიტრი ერმაკოვისა და კონსტანტინე ზანისის მიერ გადაღებული ფოტოები, ასევე, მასალები „საქინფორმის" კოლექციიდან; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატების – უძველესი სასმისების – ფოტოები; „მეღვინეობა ხარებაში" გადაღებული თანამედროვე ფოტომასალა.

„მეღვინეობა ხარებას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ირინა მაჩურიშვილის განცხადებით:

– დამთვალიერებელს საშუალება მიეცა ენახა როგორ ვითარდებოდა საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობა და შეედარებინა თანამედროვე პროცესები.

გამოფენის პარალელურად წარმოდგენილი იყო ფოტოალბომი, სადაც თავმოყრილია ექსპოზიციაზე გამოფენილი ყველა ფოტო. აქვე ნაჩვენები იყო საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, მეღვინეობის თემაზე შექმნილი, დოკუმენტური ფილმების ფრაგმენტები, რომლებიც გასული საუკუნის 30-80-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია გადაღებული.

გამოფენის გახსნამდე სტუმრებმა დაათვალიერეს ტურისტული კომპლექსი „გვირაბი", მონაწილეობა მიიღეს ღვინის დაწურვასა და ჩურჩხელების ამოვლებაში. გამოფენა „ღვინობისთვე" ყვარლის შემდეგ თბილისში ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში გამოიფინა. ექსპოზიციების დათვალიერება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო, დასკვნითი ნაწილი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული მცენარე; 4. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 5. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 6. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 11. რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება.

**თარაზულად**: 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ჩინეთში გამოყვანილი პატარა დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 7. თოფის წამალი; 9. მაჯისცემა; 12. დაავადების გამომწვევი მიკრობი; 13. აკვიატებული შიში; 14. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. მთიანეთი აზიაში; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 20. უბანი თბილისში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბოდო; 2. ილორი; 3. ოხორი; 5. შამანი; 6. რელიქვია; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. კიი; 16. ორვილე; 18. შოვი.

**თარაზულად:** 1. ბესიკი; 4. ქაშანური; 7. ბორანო; 8. რუსთავი; 12. გინზა; 13. ოკრიბა; 15. მდოგვი; 17. ჩაი; 19. ჰემოგლობინი; 20. ნიყვი; 21. ფიულკე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხულო; 2. წრუტო; 3. აგუტი; 4. რუპია; 5. ლეკები; 6. გაგარინი; 8. უსახელაური; 10. ქსენოფილია; 11. ნორმანები; 14. პუშერი; 15. ჟაკარი; 16. დანტე.

**თარაზულად:** 1. ხატწერა; 4. როლგანგი; 7. ლოლუა; 9. ციცქა; 12. ფირუზი 13. მანგო; 14. პოკერი; 17. რაჰანი; 18. ტოლერანტობა; 19. სინდისი; 20. ძეწკვი.

# მარჯანიშვილის თეატრი იუბილარია

ეკა ირემაშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი იუბილარია. თეატრი დაარსებიდან 85 წლის იუბილეს აღნიშნავს. როგორც მარჯანიშვილის თეატრში აღნიშნავენ, მთელი წლის განმავლობაში მაყურებელს არაერთი სასიამოვნო სიახლე ელოდება.

ახალი თეატრალური სეზონი მარჯანიშვილის თეატრმა პრემიერით გახსნა. თბილისის თეატრალური ფესტივალის დასრულების შემდეგ, რეჟისორმა თემურ კურასვამ თეატრის დიდ სცენაზე ინგმარ ბერგმანის „რეპეტიციის შემდეგ" წარმოადგინა, რომელშიც ორი მსახიობი ზურა ბეგალიშვილი და ქეთა შათირიშვილი მონაწილეობენ.

— ახლა შუადღეა. ცარიელი თეატრი. სიჩუმე. ეს განსაკუთრებული, იდუმალი სიჩუმეა. ჯერ კიდევ ყრუდ გაისმის მსახიობების, სცენის მუშების ხმები, ეს ხმები სულ აქ არიან, აქ ცხოვრობენ. უბრალოდ ახლა არ ისმის, თითქოს გაირინდნენ. ერთი საათია დილის რეპეტიცია დამთავრდა, დღეს საღამოს სპექტაკლი არ არის. ასეთი სიცარიელე მხოლოდ დღისით თეატრში. თითქმის ყოველ საღამოს ამ დარბაზში ასობით ადამიანი იყრის თავს, ახლა კი არავინაა, საკმარისია, დაიხარო და სულ სხვა რეალობას დაინახავ, უცებ აღმოჩნდება, რომ მკვდრები მთლად მკვდრები არ არიან, ცოცხლები კი მოჩვენებებს ჰგვანან. ის, რაც წუთის წინ ეჭვსაც არ იწვევდა, მოულოდნელად უცნაური და წარმოუდგენელი მოგეჩვენება. გესმის? ყური დაუგდე ცარიელი სცენის სიჩუმეს. აქ სულიერი ენერგია, გულით განცდილი თუ ნათამაშევი გრძნობები, სიცილი, ვნებები და კიდევ, ვინ იცის, რამდენი რამ ტრიალებს. ეს ყველაფერი აქ რჩება, ამ კედლებშია გამჯდარი და თავისი იდუმალი სიცოცხლით ცხოვრობს. მხოლოდ თეატრში შეგიძლია ასე მოვექცეთ ავტორს. მუსიკაში ეს წარმოუდგენელია. ჯერ ერთი, ნოტებს თვითნებურად ინტერპრეტაციას ვერ მოუძებნი. და მეორე, მუსიკოსის პროფესია ცოდნას ითხოვს. ნებისმიერ იდიოტს შეუძლია გადაუაროს იბსენს, მაგრამ ვერავინ გაბედავს მოცარტის შეურაცხყოფას. კრიტიკოსებიც და პუბლიკაც მაშინვე შეაჩვენებენ, — ასეთია სპექტაკლის სიუჟეტი.

მარჯანიშვილის თეატრის დაარსება ქართველ რეჟისორთან კოტე მარჯანიშვილთან არის დაკავშირებული. თეატრი დაარსდა ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის მიერ, ორი წლის შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა, როგორც მეორე სახელმწიფო თეატრი და ამჟამად ზუბალაშვილების სახალხო სახლის შენობა დაიკავა. თეატრის დამფუძნებელი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან მოვიდა, რომელსაც ქართული თეატრის რეფორმა უნდა განეხორციელებინა. კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ კი თეატრს მისი სახელი ეწოდა. აღდგენილი და განახლებული მარჯანიშვილის თეატრი ხელახლა გაიხსნა 2006 წლის 17 სექტემბერს ბერტოლტ ბრეხტის სპექტაკლით „სამგროშიანი ოპერა" რეჟისორ გიზო ჟორდანიას რედაქციით. ყოფილი „სახალხო სახლი" ქართველი მეწარმის კონსტანტინე ზუბალაშვილის დაკვეთით აიგო პეტერბურგელი არქიტექტორის კრიჩინსკის პროექტით. ნაგებობა მოდერნის სტილის ნიმუშია.

ამჟამად თეატრის დასის წევრები არიან სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე, რეჟისორები გიზო ჟორდანია, თემურ ჩხეიძე, ლევან წულაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი, ციცინო კობიაშვილი, ქორეოგრაფი გია მარღანია, კომპოზიტორები ვახტანგ კახიძე, ნიკა მემანიშვილი, რეზო კიკნაძე, თეატრის მხატვარ-გამფორმებლები ანა კალატოზიშვილი, შმაგი საპარელი და მსახიობები.

რუსეთიდან ჩამოსულმა კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში საკმაოდ მნიშვნელოვანი სპექტაკლები დადგა სანდრო ახმეტელთან ერთად. შემდეგ კი შემოიკრიბა ნიჭიერი ქართველები და ქუთაისში ქართული სახელმწიფო თეატრი შექმნა. პირველ წლებში დასს ამშვენებდნენ ცნობილი მსახიობები, მათ შორის, ვერიკო ანჯაფარიძე, ბაბო გამრეკელი, სესილია თაყაიშვილი, მალაკი მრევლიშვილი, ცეცილია წუწუნავა, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, აკაკი კვანტალიანი, პიერ კობახიძე, გრიგოლ კოსტავა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, მხატვრები დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი, მარჯანიშვილის აღმოჩენა პეტრე ოცხელი, კომპოზიტორები კოტე მეღვინეთუხუცესი, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე, თამარ ვახვახიშვილი, ქორეოგრაფი დავით მაჭავარიანი.

თეატრმა პირველი გასტროლები ხარკოვსა და მოსკოვში გამართა, სადაც მათ უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. განსაკუთრებული მოწონებით ხვდა კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტას" და ვერიკო ანჯაფარიძის იუდითი და უშანგი ჩხეიძის ურიელი. „ურიელ აკოსტა" კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად არის მიჩნეული, იგი რამდენჯერმე აღადგინეს ახალი თაობის მსახიობების მონაწილეობით. კოტე მარჯანიშვილის შემდეგ ეს სპექტაკლი ვერიკო ანჯაფარიძემ აღადგინა, მოგვიანებით სოფიკო ჭიაურელმა. სწორედ მის მიერ აღდგენილი სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში ახლაც არის.

ამ გასტროლს მოჰყვა თბილისური გასტროლები. მთავრობის დადგენილებით მეორე ქართული სახელმწიფო თეატრი თბილისში გადმოიყვანეს სახელოვნებო მეორე ქართული სახელმწიფო დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით და ბინად მისცეს ზუბალაშვილების სახალხო სახლი, სადაც თეატრი ამჟამად მდებარეობს. კოტე მარჯანიშვილმა თავის თეატრში სულ ხუთი სეზონის განმავლობაში იმუშავა და 26 სპექტაკლი დადგა. რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ თეატრს სათავეში ჩაუდგნენ მისი უახლოესი მოწაფეები უშანგი ჩხეიძე (სამხატვრო ხელმძღვანელი), შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე (სარეჟისორო კოლეგიის წევრები), დოდო ანთაძე (დირექტორი), დავით კაკაბაძე (მთავარი მხატვარი). თეატრში სპექტაკლებს დგამდნენ თავად მსახიობებიც ვასო გოძიაშვილი, შალვა ღამბაშიძე, აკაკი კვანტალიანი, ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი. ვასო გოძიაშვილმა აღადგინა კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო". მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შექსპირის დრამატურგიას.

— ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა, — ამბობდა კოტე მარჯანიშვილი.

როგორც მარჯანიშვილის თეატრში ამბობენ, თეატრი დღემდე რჩება იმ ტრადიციების გამგრძელებელი, რომელიც დაარსების დღიდან გამოიკვეთა.

— ადამიანებს ხომ გაქვთ ათი მცნება, ჩვენ მეთერთმეტეც გვაქვს... და ვიდრე ახალგაზრდები ვართ, ვიდრე მოგვდევს ღონე, გვწადია, აღვასრულოთ მეთერთმეტე მცნება... ადამიანისათვის, რომ თქვენ ხვალ უკეთესი იყოთ, ვიდრე ხართ დღეს... იმისათვის, რომ აი, ამ დარბაზიდან გასულს სიკეთის გამარჯვების გჯეროდეთ, — აცხადებდა კოტე მარჯანიშვილი.

მარჯანიშვილის თეატრს დღეს სამი სცენა აქვს: მთავარი — დიდი სცენა, მცირე სცენა „სხვენი", რომელიც 2008 წელს დაარსდა და ახალი სცენა „სარდაფი", რომელიც 2013 წლის 7 ივნისს თეატრის მოპირდაპირე მხარეს გაიხსნა. პრემიერების რაოდენობა წლის განმავლობაში 14-16 სპექტაკლია, სულ რეპერტუარშია 30 სპექტაკლი, 2013 წელს მაყურებლის რაოდენობამ 35.000 შეადგინა. მარჯანიშვილის თეატრის შენობა გახდა „სახლი" ორი თეატრისათვის, თითების თეატრისა და კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისთვის. მარჯანიშვილის თეატრი ახორციელებს სოციალურ და საქველმოქმედო პროექტებს, თეატრი მუდმივად მასპინძლობს უფასო ბილეთებით დევნილებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, მზრუნველობა მოკლებულ და სოციალურად დაუცველ ბავშვებს და მოხუცებს, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს, ყოველ პარასკევს სპექტაკლები წარმოდგენილია ინგლისური სუბტიტრებით, თეატრი ყოველ წელს მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებზე დიდი წარმატებით, მათ შორის ისრაელში, ინგლისში, გერმანიაში, რუმინეთში, პოლონეთში, ინდოეთში, იტალიაში, ეგვიპტეში, ტუნისში, კორეაში. თეატრი მუდმივად მართავს სპექტაკლებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ახალქალაქში, ხულოში, თელავში, ბათუმში, ქუთაისში, საჩხერეში, ყვარელში.

თეატრის დაარსებიდან 85 წლის შემდეგ გაზეთი „გარდიანი" წერს:

— თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ.

მარჯანიშვილის თეატრის 85 წლის იუბილეს სპეციალური სპექტაკლი მიუძღვნეს რეჟისორებმა ლევან წულაძემ და დიმიტრი ხვთისიაშვილმა. სპექტაკლს მათ „მარჯანიშვილი" უწოდეს.

# „ქართული კალიგრაფია" დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით, კონკურსი „ქართული კალიგრაფია" გამოცხადდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ლია გიგაურის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ბუბა კუდავას ცნობით, ამ კონკურსის მიზანია ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარის — ქართული დამწერლობისა და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაცია, ხელით წერით კულტურის განვითარება და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა.

— ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს VII-დან XII კლასის ჩათვლით, ასევე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებს, სხვა ზრდასრულ დაინტერესებულ პირებს და საზღვარგარეთ მცხოვრებ დაინტერესებულ პირებს. კონკურსი სამ ეტაპად გაიმართება — შესარჩევი ტური, ნახევარფინალური ტური და დასკვნითი ტური. კონკურსის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე, — განაცხადა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა.

„ქართული კალიგრაფიის" კონკურსს 2010 წლიდან ჩაეყარა საფუძველი და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება. კონკურსის მონაწილეებს საშუალება აქვთ თანაბარ კონკურენტულ პირობებში წარმოაჩინონ უნარი ხელით წერის კულტურაში, ასევე, აქვთ შესაძლებლობა მოისმინონ ლექცია-სემინარები შესაბამის თემებზე.

— ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებშივე იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად. საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებში საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა ქართული წიგნი. მონასტრებში მოღვაწე მწიგნობრების შემოქმედებითი ჯგუფები ქმნიდნენ რა ხელნაწერ წიგნებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ქართული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობას, წიგნის შესამკობად გამოყენებულ მოხატულ ასოებსა და სხვა დეკორატიულ ელემენტებს, რომელთა მრავალფეროვნებაში მჟღავნდებოდა ცალკეული წიგნის შემქმნელის ინდივიდუალურობა. ხელით შესრულებული ნამუშევრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ძვირადღირებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, — მიაჩნია ბუბა კუდავას.

მისივე თქმით, ჩვენს რეალობაში ხელით წერის უძველესი მაღალმხატვრული ტრადიცია ნაკლებად ცნობილი და წახალისებულია:

— დღეს ბევრი ვერ ხვდება რაში შეიძლება გამოიყენოს დახვეწილი კალიგრაფია. მაშინ როცა, ხელით შესრულებული ნამუშევრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ფასობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოში ხელნაწერი წიგნის შექმნის კულტურის აღორძინება. რაც შეეხება კონკურსის ჩატარების ფორმატს, კონკურსი ტარდება საქართველოს მასშტაბით და მოიცავს 3 ტურს. კონკურსის პირველი ეტაპია შესარჩევი ტური, სადაც მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ლამაზად ნაწერი მხედრული ანბანით შესრულებული ნებისმიერი მისთვის სასურველი ტექსტი 100-150 სიტყვის ოდენობით, საწერი მასალა და საშუალებები შეზღუდული არ არის. ასევე უნდა წარმოადგინონ ორიგინალი, ასლი ან ელექტრონული ვერსია არ მიიღება. ნაწერს უნდა ერთვოდეს საკონკურსო ინფორმაცია კონკურსანტის პირადი მონაცემების სახით. სკოლის მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ სკოლა და კლასი. სტუდენტებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის, სპეციალობისა და კურსის მითითება. კონკურსის მეორე ეტაპი ნახევარფინალური ტურია, რომელიც ჩატარდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კონკურსანტებს ადგილზე მიეცემათ საკონკურსო ჯგუფების შესაბამისი დავალებები: ხელნაწერის გვერდის ასლის გაკეთება და ნაბეჭდი ტექსტის კალიგრაფიულად გადაწერა. კონკურსის მესამე ეტაპი დასკვნითი ტურია. ისიც ჩატარდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კონკურსანტებს ადგილზე მიეცემათ საკონკურსო ჯგუფების შესაბამისი დავალებები: ხელნაწერის გვერდის ასლის გაკეთება და ნაბეჭდი ტექსტის კალიგრაფიულად გადაწერა. ყოველი ტურის შედეგები გამოქვეყნდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, — განმარტავს ბუბა კუდავა.

მისივე თქმით, მეორე და მესამე ტური ითვალისწინებს კონკურსანტებისთვის შემეცნებითი საუბრების ჩატარებას ქართული კალიგრაფიის ისტორიაზე, ტრადიციულ საწერ საშუალებებზე. თუკი ამ კოკნურსში მონაწილეობის სურვილი საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ კონკურსანტებს გაუჩნდებათ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი რაიონებიდან თბილისში მონაწილეთა მგზავრობას არ უზრუნველყოფს.

— რაც შეეხება საკონკურსო ნიმუშის წარდგენის პროცედურას: საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ასეთია: კონკურსის შესარჩევ ტურში მონაწილეობის მსურველი მოსწავლე ან მასწავლებელი ხელნაწერ ნიმუშს წარადგენს სკოლაში, თითოეული სკოლა შესაბამის რესურსცენტრში, ხოლო რესურსცენტრები უზრუნველყოფენ წარმოდგენილი საკონკურსო ნიმუშების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გადაცემას. სამინისტროდან საკონკურსო ნიმუშები გაიგზავნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის: კონკურსის შესარჩევ ტურში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტებმა და სხვა ზრდასრულმა დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო ნიმუში უნდა წარმოადგინონ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები კონკურსანტებისათვის: კონკურსში ჩართულობის კოორდინირებას უზრუნველყოფს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. საზღვარგარეთ მცხოვრებმა კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ [illegible] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის [illegible] განათლების დეპარტამენტის ელექტრონულ მისამართზე. რაც შეეხება გამარჯვებულების გამოვლენას, მონაწილეთა ნამუშევრების შეფასებას უზრუნველყოფს კვალიფიციური ჟიური; ჟიურის შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით; კონკურსის ბოლოს პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული კონკურსანტები გამოვლინდებიან 5 საკონკურსო ჯგუფში. გარდა ამისა, დასახელდებიან სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები. ნომინაციებს დაადგენს ჟიური არსებული საკონკურსო მასალიდან გამომდინარე; ჯილდოებს აწესებენ: კონკურსის ორგანიზატორები და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციები; კონკურსში მონაწილეთა მიერ შექმნილი საუკეთესო კალიგრაფიული ნიმუშები გამოიფინება და შემდეგში შეინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კალიგრაფიის კონკურსში დაჯილდოვდებიან პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული და სპეციალურ ნომინაციებში გამარჯვებული კონკურსანტები საკონკურსო ჯგუფების მიხედვით, — ამბობს ხელნაწერთა ცენტრის დირექტორი.




რაც შეეხება „ქართული კალიგრაფიის" წლევანდელი კონკურსის ჩატარების ვადებს, სკოლების მიერ კონკურსში მონაწილეთა ხელნაწერების წარდგენა რესურსცენტრებში უნდა მოხდეს არაუგვიანეს 22 ნოემბრისა. რესურსცენტრის მიერ საკონკურსო მასალების სამინისტროსთვის მიწოდება არაუგვიანეს 22 ნოემბრისა. სამინისტროდან ნიმუშების ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაგზავნა არაუგვიანეს 25 ნოემბრისა. სტუდენტთა და სხვა ზრდასრულ დაინტერესებულ პირთა, საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ კონკურსანტთა მიერ საკონკურსო ნამუშევრის წარდგენა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში უნდა მოხდეს არაუგვიანეს 22 ნოემბრისა; შესარჩევ ტურში გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა და ინფორმირება მოხდება არაუგვიანეს პირველი დეკემბრისა. კონკურსის მეორე ტური გაიმართება 7-8 დეკემბერს, ტურის წინ ჩატარდება შემეცნებითი საუბარი. მეორე ტურის შედეგების გამოცხადება მოხდება 15 დეკემბრამდე. მესამე ტური დანიშნულია 21-22 დეკემბერს, ტურის წინ ჩატარდება შემეცნებითი საუბარი. მესამე ტურის შედეგები 29 დეკემბერს გახდება ცნობილი. გამარჯვებულთა დაჯილდოვება და გამოფენის გახსნა 25 იანვარს არის დაგეგმილი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში პროექტის „ქართული ლიტურგიკული გრაგნილების მხატვრული გაფორმება" პრეზენტაცია შედგა. იგი განხორციელდა 2012-2013 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ახალგაზრდა მეცნიერთათვის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში. ქართული მოხატული ლიტურგიკული გრაგნილების ქრონოლოგიური საზღვრები XII-XVIII საუკუნეებში ექცევა, უმრავლესი მათგანი XV-XVI საუკუნეებს მიეკუთვნება. ნიმუშების უმეტესობა წარმოადგენს წმ. იოანე ოქროპირის და წმ. ბასილი დიდის ჟამისწირვებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მათგან მხოლოდ ადრეული XII და XIII საუკუნეების ნიმუშები იყო განხილული.

— ჩატარებულმა კვლევამ მოიცვა სრული მასალა, მოხდა ნიმუშთა სისტემატიზაცია, აღწერა, დიგიტალიზაცია. ამასთანავე, გამოვლინდა სამეცნიერო საზოგადოებისთვის უცნობი ჟამისწირვა. მხატვრულ-სტილისტური და იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე მოხდა ზოგიერთი მათგანის გადათარიღება. ლიტურგიკული გრაგნილების მხატვრობა ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით თვალსაჩინო ადგილს იკავებს [illegible] ტენდენციათა შესახებ, — ამბობს ცენტრის ხელმძღვანელი.

## სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პარტიის ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზაზა ნატბელაძის მამიდაშვილის

**მამუკა კალაძის**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**პარასკევი 8 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ის ჩემზე უარესია"** (ა.ჩელენტანო) **17.00** დ/ფ "პლანეტა დედამიწის სიღრმეში" **18.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.15** მხ/ფ **"ჩვენ ერთი გუნდი დართ"** (მ.მაკონახი)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. **"დეტექტივი"**. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.35** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები **15.15** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ _ ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** (გ/ჩ) **01.00** ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 – დღიური **01.15** მხ/ფ **"კლდე"** (ნ.კეიჯი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** კომედი შოუ. **18.50, 19.50** სერ. **"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ **"ძმა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. **11.00** "ზღვარზე" გად. IV **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მონანიება"** II ნაწ. **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"** 10 სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -ტრიო "თბილისი" **17.05** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** დოკ/ფ "ზურაბი" **19.35** მხ/ფ **"დილის ნისლივით"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"კუკარაჩა"**

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 ნოემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 1,6737


ევრო — 2,2607


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,695


100 რუსული რუბლი — 5,1576

## ამინდის პროგნოზი 8 ნოემბრისთვის





# მალე!
## ქართული დეტექტივი
### ტომი 3
## იორამ ჩადუნელი
# საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვავენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.




რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...

### უკვე გამოსულია

ტომი 1 ........................ მგლის ბილიკი

ტომი 2 ........................ შავი ვარდი


# დათო ტურაშვილი ტყეების მეფით დაინტერესდა


ეკა ირემაშვილი


მწერალმა დათო ტურაშვილმა თიბისი გალერეაში თავისი ახალი წიგნი „ტყეების მეფე“ (ლეგენდები დავით აღმაშენებელზე) წარმოადგინა. თიბისი გალერეაში შედგა წიგნის როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიის პრეზენტაციაც.

დათო ტურაშვილის ახალ რომანში „ტყეების მეფე“, რომელიც თავდაპირველად კინოსცენარი იყო და რომლის მიხედვითაც დიდ მეფეზე ფილმი უნდა გადაეღოთ, ერთმანეთშია გადახლართული ლეგენდები და ისტორიული ცნობები. რომანი უდიდესი ქართველი მეფის წინააღმდეგობრივ ხასიათზე, მის ახლო გარემოცვასა და ისტორიული ფაქტების განსხვავებულ ვერსიებზე მოგვითხრობს.



– „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა“, – ასე სწერდნენ სელჩუკები ჯერ კიდევ გაპარტახებული საქართველოს მეფეს, დავით აღმაშენებელს, რომელსაც მამამისის, გიორგი II-ის მიერ ტახტის დათმობის შემდეგ ჭაბუკობაშივე მოუწია თავის თავზე აეღო ძალიან რთული მისია – ტყე-ღრეებად ქცეული საქართველო კვლავ სახელმწიფოდ ექცია. ეს მატიანეში შემონახული ფაქტებია, – ამბობს მწერალი დათო ტურაშვილი.

ამ რომანის პრეზენტაცია მწერალმა პირველად ქუთაისში მოაწყო და თავისი ქმედება იმით გაამართლა, რომ დავით აღმაშენებლის სახელი ქუთაისთან არის დაკავშირებული. ქუთაისის შემდეგ კი მწერალმა თავისი ახალი რომანით მთელი საქართველო შემოიარა.

– ადამიანები, რომლებიც არ ცხოვრობენ თბილისში, ვაკეში ან ვერაზე, ისინიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან. ნებისმიერ სოფელში მაცხოვრებელ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ისიც ამ საზოგადოების წევრია და ისიც სიახლეების კურსში უნდა იყოს. ჩემი დიდი სურვილია, მოისპოს ის სიმახინჯე, რომ ყველაფერი თბილისში ხდება. გაიშალოს მოვლენები მთელ საქართველოში და მოხდეს დეცენტრალიზაცია. ლონდონში ასეთი პრაქტიკაა, ლონდონის თეატრი სპექტაკლს რომ დადგამს, მისი პრემიერა ჯერ სოფლებსა და სხვადასხვა ქალაქებშია და ბოლოს უკვე ლონდონში ითამაშებენ ხოლმე. ჩვენთან ყველაფერი თბილისშია თავმოყრილი, ამიტომ სპეციალურად გადავწყვიტე, წიგნის პრემიერა სხვაგან გვქონოდა და ბოლოს თბილისში, – ამბობს მწერალი.

რაც შეეხება უშუალოდ რომანს „ტყეების მეფე“:

– მე და აკა მორჩილაძე ვწერდით სცენარს ფილმისთვის დავით აღმაშენებელზე, რომელიც ირლანდიელ რეჟისორს ნილ ჯორდანს უნდა გადაეღო, თუმცა ვერ გადაიღეს. სცენარი ნაწილობრივ გვქონდა დაწერილი, რომ ამბავი ირლანდიელი რეჟისორის მიერ დავით აღაშენებლზე ფილმის გადაღების შესახებ გასაჯაროვდა და ფილმის გადაღებას მოწინააღმდეგეები გაუჩნდნენ. მერე ვთხოვე აკა მორჩილაძეს, რომ მქონდა იდეა, რომანის ვერსია დამეწერა ამ მასალების მიხედვით, რაზეც ბუნებრივია, აკა დამთანხმდა, – აღნიშნა მწერალმა.

დათო ტურაშვილმა ისიც განაცხადა, რომ ჩვენთან ისტორიული რომანის არსის გაგება ბევრს უჭირს:

– ბევრს ჰგონია, რომ ისტორიული წიგნი ის არის, სადაც პერსონაჟები უცნაურ ენაზე საუბრობენ. ამ წიგნში ასეთი სირთულეები არ არის. მჯერა, რომ ადამიანები XII საუკუნეში ან უფრო ადრე ისე ლაპარაკობდენ, როგორც ამის ასახვა ტექსტებში ხდება. ჩვენ ვართ საკმაოდ მდიდარი ხალხი, მარტო დამწერლობა გვაქვს სამი.

დავით აღმაშენებელი არ არის მარტო სადღეგრძელოს ობიექტი, მარტო მუზეუმი და მარტო წარსული. მინდა ეს ადამიანი იყოს ძალიან ახლობელი და თანამედროვე ჩვენთვის, ის იყო ისტორიული პიროვნება და იმ საქართველოს, რომელიც მან შექმნა, ვერავინ გაიმეორებს, იმიტომ რომ ჩვენ რეალურად არ ვიცით ეს. დავით აღმაშენებელს ანალოგი არ ჰყავს საქართველოს ისტორიაში, არავის შეუქმნია ის, რაც შექმნა დავით აღმაშენებელმა. ეს იყო უნიკალური შემთხვევა, ამიტომ დამაინტერესა როგორ მიაღწია 16 წლის ბიჭმა იმ შედეგებამდე, რასაც დავით აღმაშენებელმა მიაღწია. ასეთი გზა გაიარო, ასეთი სახელმწიფო შექმნა და ამის პარალელურად, გქონდეს ასეთი დიდი სინანული. ამის ანალოგი არ არსებობს, დავით აღმაშენებელი იყო მეფე საქართველოში, ვინც დაამახსოვრა თავის მთელ კაცობრიობას.

დათო ტურაშვილმა მკითხველს კინომოთხრობის პრეზენტაციაც მოუწყო, რომელსაც ავტორმა „ფრანგულ-ქართული ისტორიები“ უწოდა. მწერალმა თავისი კინომოთხრობა სულ ცოტა ხნის წინ სიყვარულის ქალაქ პარიზში გადაიღო. ფილმი ქართულ-ფრანგულ ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებსა და საფრანგეთში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს ეძღვნება. ის საგანმანათლებლო ხასიათისაა და ახალგაზრდა თაობისათვის განსაკუთრებით საინტერესოა.

თიბისი გალერეამ დათო ტურაშვილის ახალი წიგნის წარდგენის გარდა, მხატვარ ზურა გომელაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენაც მოაწყო, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრის ახალი ნამუშევრები, რომლებიც საზოგადოებამ პირველად თიბისი გალერეაში იხილა.

გალერეამ თავისი სივრცე დაუთმო ახალ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „მანანა დოიჯაშვილი“, რომელიც რეჟისორმა ზურა ინაშვილმა გადაიღო და თავის ფილმში ცნობილი ქართველი პიანისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, პროფესორ მანანა დოიჯაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ნაცნობი და უცნობი დეტალები ასახა. დოკუმენტური ფილმი „მანანა დოიჯაშვილი“ თიბისი ბანკისა და საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ მხარდაჭერით შეიქმნა.

# ფაჩულია სამმაგ დუბლს მიუახლოვდა



ქართველმა ცენტრმა შთამბეჭდავად ითამაშა დღეს, გამთენიისას, მილუოკიში გამართულ მატჩში, სადაც „ბაქსმა“ 109:104 დაამარცხა „კლივლენდ კავალიერსი“.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 31 წუთი გაატარა. მილუოკელთა ძირითადი ცენტრი, რომელსაც გასულ სამივე მატჩში ფაჩულიამ აშკარად აჯობა, განაცხადში არ ყოფილა. ლარი სანდერსი იმ გამოძიებაშია გარეული, რომელსაც პოლიცია ერთ-ერთ ბარში მომხდარი ჩხუბის გამო აწარმოებს.

ფაჩულიამ კვლავ შესაშური მიზანი გამოავლინა და კვლავ ჩააგდო 10-დან 10 საჯარიმო. ეს მან უკვე მეორედ მოახერხა მიმდინარე სეზონში: 1 ნოემბერს, ბოსტონშიც ჩააგდო ზაზამ 10-დან 10 საჯარიმო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ამ კატეგორიაში ნბა-ში საუკეთესოა. ქართველ ცენტრს მიმდინარე სეზონში საჯარიმო არ აუცილებია. 4 მატჩში მან მთლიანობაში 21-დან 21 სროლა გამოიყენა.

ზაზამ 4 ქულა თამაშიდანაც მოიპოვა და ჯამში 14 ქულა მოუგროვდა. თუმცა, საინტერესო ის არის, რომ ზაზას სამმაგ დუბლამდე დააკლდა მცირედი – მის ანგარიშზე 9 მოხსნა და 7 პასიც დაგროვდა, რითაც მან უდიდესი დახმარება გაუწია „მილუოკის“, რომელმაც მიმდინარე სეზონში მეორე მატჩი მოიგო.

მ. ჟ.

# სამებაში შემეცნებითი საუბრები განახლდა


ეკა ირემაშვილი




საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში შემეცნებითი საუბრები განახლდა და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

როგორც ახალგაზრდული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ აღნიშნა, შემეცნებითი საუბრების ფორმაში დაიგეგმა სხვადასხვა თემატიკის საუბრები. მათ შორის, თემა „თანამედროვე ქრისტიანის ცხოვრება ოჯახში“, საუბარს წარმართავს კუკიის წმიდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი არჩილ ხაჩიძე, თემა „ფოტოხელოვნების შესახებ“

საუბარს წარმართავს ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი, რუბრიკაში ღვთისმეტყველება და ფილოსოფია თემად შეირჩა „ანგელოზთა სამყაროს შექმნა“, საუბარს წარმართავს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე, რუბრიკაში ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა თემაა „ზნეობრივი ცხოვრების ასპექტები“ საუბარს წარმართავს წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ბიძინა გუნია. ამავე კვირას დაიგეგმა შემოქმედებითი საღამოც, კვირის დასასრულს კი წარმოდგენილი იქნება თამარ თაგვაძის ფილმი „ნიკო ცხვედაძე“.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა ვასილ ბოსტაშვილის ნახატების გამოფენა და შემოქმედებითი საღამო, ასევე წარდგინება მისი ახალი კრებულისა „ვარსკვლავეთი“. ღონისძიებას ესწრებოდნენ სასულიერო პირები, პოეტები და მსახიობები და მასზე დასწრება თავისუფალი იყო.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში კი ღვაწლმოსილი აფხაზი ქალბატონის სვეტლანა ქეცბას 80 წლის იუბილე შედგა. იუბილეს ორგანიზატორობა ითავეს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ, აფხაზეთის მთავრობამ, აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სასულიერო პირები, აფხაზეთის მთავრობისა და უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სტუდენტი ახალგაზრდობა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სული-


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 8 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე სიახლეს გპირდებათ**

**ვერძი** – ცხოვრებას სხვა თვალით შეხედავთ და ახალ ცხოვრებას დაიწყებთ. **კურო** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული შეხვედრა თავბრუს დაგახვევთ. **ლომი** – ახალი პროექტი მიმზიდველია, ფულს შოულობთ. **ქალწული** – რაღაც გიკვირთ, პასუხს მალე იპოვით. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ღრიანკალი** – ახალ საქმეს წამოიწყებთ, გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – პატარა პრობლემას მალე მოაგვარებთ, ცოტაც მოითმინეთ. **მერწყული** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **თევზები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გაწყალებული ღვინო; 2. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 3. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 5. მსჯელობისა და დასკვნათა თანამიმდევრობა; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი აკადემიკოსი; 18. პეპლების საჭერი ბადიანი მოწყობილობა.

**თარაზულად**: 1. საქსოვი მანქანის გამომგონებელი ფრანგი მექანიკოსი; 4. ლიტვის დედაქალაქი; 7. პოპულარული ქართული ხალხური სიმღერა; 8. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო, პროფილაქტიკური სამედიცინო პრეპარატი; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 13. ზღვა თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროსთან; 15. საფრანგეთის პრეზიდენტი; 17. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. ოსური ცეკვა; 21. ხურდა ფულის, მონეტების დასამზადებლად გამოყენებული დაბალი ხარისხის ვერცხლი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

